ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

ეკატერინე ჯინჭარაძე

ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია ადამიანის უფლება დაცვის რეგლამენტაციის ფარგლებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი
აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

სახელმწიფოების განვითარება მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საკმაოდ რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რომელიც დამოკიდებული იყო როგორც საშინაო და საგარეო ფაქტორებზე, ასევე ზეგავლენას ამ პროცესებზე ახდენდა მეზობელი ქვეყნების საგრეო პოლიტიკა და მეზობლური დამოკიდებულების ხარისხი. საბოლოო ჯამში ყველა ქვეყნის ისტორია რეგიონულად სხვა ქვეყნების განვითარების პარალელურად ვითარდება.

საქართველო მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანაა. მისი, როგორც სახელმწიფოებრივი განვითარება მუდმივი შემოსევებისა და მშვიდობის შენარჩუნების ფონზე მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა ქართული კულტურა უდავოდ იმსახურებს უმაღლეს შეფასებებს თანამედროვე საერთაშორისო ასპარეზზე.

მთელი რიგი ქვეყნები სამართლის ისტორიას ბოლო ასწლეულების მანძილზე აყალიბებენ, მაშინ როცა ქართული სამართლის ძეგლებისა თუ საკანონმდებლო აქტების შექმნასა და რეალიზაციას პირველი ათასწლეულის დასაწყისშივე ჩაეყარა საფუძველი. ძველი ქართული სამართლის ძეგლებს ღირსეული ადგილი უჭირავთ მსოფლიო სამართლის ძეგლებს შორის და თამამად პასუხობს თანამედროვე საერთშორისო გამოწვევებს.

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაში - ბავშვის უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, მნიშვნელოვანი შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დასკვნების გამოტანა, იმის თაობაზე, რომ ქართულ სახელმწიფოში თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და გარკვეულწილად დაცული იყო ადამიანი. ასე, რომ უფლებათა დაცვა ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უძველესი სფეროა.

სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის როგორც შინაარსზე, ასევე მის ქართულ საკანონმდებლო სივრცეში სინთეზზე. საქართველო 1991 წლიდან ეტაპობრივად შეუერთდა საერთაშორისო ორგანიზაციებს და თანდათან საკანონმდებლო სივრციდან სისტემურ რგოლებამდე მოახდინა მისი ნორმებისა და შინაარსის ადაპტირება.

დღეს საქართველოს საჯარო სამსახურები აქტიურად არიან ჩაბმულნი კონვენციის დებულებათა შესრულებაში. ამ საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის ნაშრომში დეტალურადაა განხილული სოციალური სააგენტოს სტატისტიკური ანგარიშების რამოდენიმე სახე, რომელმაც ნათელი მოჰფინა იმ ღონისძიებებს რომელსაც საჯარო სამსახურები ატარებენ ბავშვთა დაცვის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ზოგადი დებულებების განხილვამ დედუქციის მეთოდის საფუძველზე შესაძლებლობა მომცა კონკრეტულად ბავშვის უფლებების დაცვის საკითხები

განმეხილა. აღნიშნული მეთოდის საფუძველზე შესაძლებელი გახდა როგორც შედარებითი ანალიზის ასევე დასკვნის გამოტანა, რომელიც თეორიული კვლევის მეთოდებს ეფუძნება.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი საკვანძო თავის, თერთმეტი ქვეთავისა და დასკვნისაგან.

ეკატერინე ჯინჭარაძე

Anotation

The development of states in the course of centuries-old history has been very difficult, depending on domestic and external factors, as well as the influence of neighboring countries and the level of neighbors' dependence on these processes. In the end, the history of all countries is developing in parallel with the development of other countries.

Georgia is a country with centuries-old history and culture. Its state development was on the background of constant invasions and peace keeping. Nevertheless, Georgian culture undoubtedly deserves the highest ratings in the modern international arena. A number of countries formulate the history of justice over the last hundred years, while the creation and realization of the Georgian laws and legislative acts is based on the beginning of the first millennium. Old Georgian law monuments have a decent place among the world's monumental monuments and responds to modern international challenges.

In the subject of master's thesis - protection of child rights in the context of human rights, based on substantial comparative analysis, conclusions have been made possible that the Georgian state is important and somewhat protected by human rights. Thus, protection of rights is one of the oldest areas of our culture. Master's work focuses on the content of the Convention on the Rights of the Child and its synthesis in the Georgian legislative space. Georgia has been gradually joined by international organizations since 1991 and gradually adapted its norms and content from the legislative space to the system.

Today Georgian public services are actively involved in the implementation of the provisions of the Convention. To illustrate this issue, the paper deals with a number of statistical reports of the Social Agency detailing the measures taken by the public services in terms of child protection.

Considering the general provisions of human rights on the basis of the deduction method, I have specifically discussed the issues of child rights protection. Based on this method, it is possible to draw up a comparative analysis, based on theoretical research methods.

The work consists of the four, four key chapters and conclusions of the introduction.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია ქართულად

ანოტაცია ინგლისურად

შესავალი ---------- 1

თავი I ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიულ ჭრილი ---------- 6

1.1. ადამიანის უფლებების დაცვის პირველი მცდელობები ---------- 8

1.2. ადამიანის უფლებათა თაობები ---------- 14

თავი II ადამიანის თანამედროვე უფლებებისა და ძველი ქართული სამართლის ძეგლების შედარებითი ანალიზი ---------- 19

2.1. მონობა, როგორც ადამიანის უფლების დარღვევა ---------- 23

2.2. სასამართლო ხელისუფლება, როგორც უფლეთა დაცვის გარანტორი ---------- 25

2.3. სამართლებრივი სახელმწიფო, თანასწორობა კანონის წინაშე და კანონის უზენაესობა –- 29

2.4. პიროვნების ხელშეუხებლობა ---------- 31

2.5. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება ---------- 33

2.6. ადამიანის პატივი და ღირსება, სასჯელის სახეები ---------- 35

თავი III ბავშვი და მისი ძირითადი უფლებების დაცვის სამართლებრივი სივრცე ---------- 39

თავი IV ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია და საქართველოს საკანონმდებლო სივრცე ---------- 44

თავი V საქართველოს სოციალური სააგენტოს მუშაობის სტატისტიკა სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ბავშვის მიმართ ---------- 58

დასკვნა ---------- 62

ბიბლიოგრაფია ---------- 66

დანართები და ცხრილები

დანართი N1 – სოციალური სააგენტოს ბავშვზე ზრუნვის პროგრამები ---------- 67

ცხრილი N1 საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები ---------- 68

ცხრილი N2 – მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა ---------- 69

ცხრილი N3 – საარსებო შემწეობის მიმღები 16 წლამდე პირების რაოდენობა სარეიტინგო ქულის სხვადასხვა ჯგუფებში ---------- 70

ცხრილი N4 – მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში ჩართული ბავშვების რაოდენობა ——————---------- 71

ცხრილი N5 – სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით ——---------- 72

ცხრილი N6 – სოციალური პაკეტის დასაფინანსებლად გადარცხული თანხა ჯგუფების მიხედვით —— 73

შესავალი

თანამედროვე საქართველო სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან განსაკუთრებით მრავალი თანამედროვე გამოწვევების წინაშე დგას. ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენიდან გასული დრო თვითეული ინდივიდისათვის ცხოვრების თითქმის მეოთხედია, მაგრამ დემოკრატიული ინსტიტუციების ჩამოყალიბებისათვის საკმაოდ ცოტა დროა, ამდენად, საქართველოში ჯერ კიდევ თვალში საცემია ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისა თუ რეალიზაციის თვალსაზრისით მდგომარეობა ჯერ კიდევ შორს არის იდეალურისაგან, რადგან ადამიანის უფლებათა არაერთი დარღვევა ქვეყანაში კვლავ საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანია.

ზოგადად კაცობრიობის ისტორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი და უმთავრესი ტენდენციები ორიენტირებულია ადამიანზე. ადამიანი არის მოაზროვნე არსება, რომელიც სახელმწიფოს მთავარი სუბიექტია და მის ირგვლივ ვითარდება ქვეყნის, სახელმწიფოსა და საზოგადოების სტრატეგიული წინსვლის ფუნდამენტალური პრინციპები.

მანამ სანამ ადამიანებში სახელმწოებრივად აზროვნების უნარი ჩამოყალიბდებოდა ისინი ურთიერთობებს ახორციელებდნენ ადათებითა და სხვადასხვა წეს–ჩვეულებებით. არსებობს თვით ადამიანების მიერ ზეპირსიტყვიერად დადგენილი წესი, რომელიც სავალდებულო შესასრულებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა ურთიერთობების ნორმალური რიტმი. ამ წესების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო საზოგადოების ყველა წევრი და შეუსრულებლობის კონტროლი ხორციელდებოდა მათ შორის ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ „ბელადის“ მიერ. ბელადი გამოირჩეოდა დანარჩენი საზოგადოების წევრებისაგან ნდობით, გონიერებით და უნარით ყოფილიყო ის ერთი რომელიც შეძლებდა დანარჩენზე მაღლა ყოფილიყო. რაც მთავარია ბელადი ფლობდა ბევრად უფრო მეტი უფლებებით ვიდრე საზოგადოების ჩევულებრივი წევრი.

ბელადი, რომელშიც თავის თავში აერთიანებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ფუნქციების მატარებელ პიროვნებას. საინტერესოა იყო თუ არა ამ პერიოდში დაცული ადამიანის უფლებები და საერთოდ ჰქონდა თუ არა საწყის საზოგადოებას ამ

ცნებასთან რაიმე ფორმის კავშირი? თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბელადის მიერ ხდებოდა ყველა დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა შესაბამისად დაცული იყო დაზარალებულის უფლებები, მაგრამ თვით სასჯელი ფორმის სახე და ზომა ერთპიროვნულად ბელადის და რიგ შემთხვევებში თემის უხუცესთა საბჭოს წევრების აზრის გათვალისწინებით წყდებოდა. რამდენად მსუბუქი იყო სასჯელის ფორმა ამაზე რთულია საუბარი.

ადამიანის უფლებების ცნება ტერმინთა ზოგად კატეგორიას მიეკუთვნება რომლის ქვეშ მოიაზრება იმ ქმედების თავისუფლება, რომლის დაცვაზეც სახელმწიფოს აკისრია პასუხისმგებლობა. მაგალითად სიცოცხლის უფლება სახელმწიფოსგან მოითხოვს ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც ერთი მხრივ დაიცავს ადამიანის სიცოცხლეს და მეორე მხრივ მისი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს საქმის ეფექტურ გამოიძიებას და დამნაშავის დასჯას. აქედან გამომდინარე ადამიანის უფლებების სფეროს აგებულება ვერტიკალურია. ამ მიმართებაში მოიაზრება მნიშვნელოვანი გარემოება - მისი მხარეები, სახელმწიფო და ადამიანია.

სახელმწიფო და ადამიანი ეს მჭიდრო ურთიერთქმედების მოვლენაა. არ შეიძლება სახელმწიფო არსებობდეს ადამიანის გარეშე, ადამიანი მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. საუკუნეების წინ არსებობდა ადამიანი, მაგრამ სახელმწიფოს გარეშე. სახელმწიფო უფრო მოგვიანებით პერიოდში ყალიბდება. ადამიანი ქმნის სახელმწიფოს, ანუ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მის დაცვას და ზრუნავს მასზე. ამდენად ეს ურთიერთქმედება მეტად საინტერესო და რთულია თავისი აგებულებით.

სახელმწიფოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცულობა და უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს დემოკრატიული პრინციპების უდიდეს საზომ ერთეულს. ანუ რაც უფრო მეტია დემოკრატიულობის ხარისხი მით უფრო დაცულია ადამიანი სახელმწიფოში, თუმცა ეს მიდგომა ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობას ვერ იძენს, რადგან სახელმწიფოები, თავიანთი ისტორიული განვითარებით, თანამედროვე გამოწვევებით, თვით სახელმწიფოში არსებული ტრადიციებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ზოგიერთ მათგანში დემოკრატიულობაზე უფრო მეტ გარანტიას

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში თვით ზემოთმითითებული ფაქტორები განაპირობენ.

ნებისმიერ პრიმიტიულ საზოგადოებაშიც კი ბავშვის ფენომენი მეტად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული თემა იყო, რომელიც ასევე განსაკუთრებულ და ფაქიზ მიდგომებს საჭიროებდა.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჭრილში თანამედროვე სახელმწიფოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ ბავშვი და მისი უფლებების დაცვა წარმოადგენს, რომელიც თანდათან საკანონმდებლო დონეზე ადის და უფრო აქტიურ ფაზაში შედის. ადამიანის უფლებების დაცვის პარალელურად კიდევ უფრო მეტადაა ყურადღება გამახვილებული ბავშვის უფლებების დაცვაზე, რადგან ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ.

თუ ეს საკითხი არ იქნება სათანადოდ მოგვარებული და თვითეული სახელმწიფოს კანონმდებლობაში ჩადებული, მაშინ ზედმეტია საუბარი ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა მშვიდობა, სოციალური თანასწორიბა, ჰუმანიზმი, კანონიერება და განათლება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1959 წლის 20 ნოემბრის 386 (XIV) რეზოლუციით გამოაცხადა ბავშვის უფლებათა დეკლარაცია, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კაცობრიობა ბავშვს აძლევს ყოველივე საუკეთესოს, რაც გააჩნია“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნის დღიდანვე დაიწყო ზრუნვა ბავშვის უფლებების დაცვაზე და 1989 წლის 20 ნოემბერს, ცალკე კონვენციად ჩამოაყალიბა – ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია . აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წლის 21 აპრილიდან შეურთდა.მის პრეამბულაშიც პირდაპირ არის ჩამოყალიბებული:

„ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა ბავშვთა უფლება, განსაკუთრებული მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი, დარწმუნებული არიან რა, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, ზრდისა

და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებელად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი, აღიარებენ რა, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.“[13]

ამ დებულებიდან გამომდინარე გაერო აცხადებს ბავშვის უფლებათა დეკლარაციას, რათა მას ჰქონდეს ბედნიერი ბავშვობა, საკუთარი და საზოგადოების კეთილდღეობისათვის გამოიყენოს დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება აგრეთვე მოუწოდებს მშობლებს, ორივე სქესის ადამიანებს, ორგანიზაციებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და ეროვნულ მთავრობებს აღიარონ და დაიცვან ეს უფლებები საკანონმდებლო და სხვა საშუალებების თანდათანობითი მიღებით დეკლარაციაში ჩამოთვლილი სხვადასხვა პრინციპების შესაბამისად.

ბავშვი ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას. საჭიროა საკანონმდებლო და სხვა შესაბამისი გზების მოძიება, რათა ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა და საშუალებები განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად, მორალურად, სულიერად და სოციალურად ჯანსაღი და მისაღები ფორმით, თავისუფლებისა და პატივისცემის ატმოსფეროში. ჩემი სამაგისტრო თემის მიზანსაც წარმოადგენს სწორედ აღნიშნული საკითხების განხილვა, კერძოდ თუ რამდენად არის საქართველოში ბავშვის უფლებები დაცული საერთაშორისოდ აღიარებული კონვენციების თანახმად და საზოგადოებრივი გაერთიანებების რომელი მიმართულებები ზრუნავენ მათ სწორ ინტეგრაციაზე სოციუმში.

თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი და მისი უფლებები საყოველთაოდ აღარებული ფენომენია, რომელსაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია იცავს სხვადასხვა დეკლარაციებითა თუ კონვენციებით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ბავშვი ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია, ამდენად ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ფარგლებში განსაკუთრებულად ზრუნავდეს ბავშვის განვითარებაზე, მის სოციალურ მდგომარეობაზე, განათლებაზე,

პიროვნულ აღზრდაზე. აქედან გამომდინარე ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხები იძენს აქტუალობას ჩემს სამაგისტრო ნაშრომში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: საქართველოში ბავშვის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად ვლინდება. ქვმდებარეობის, სოციალური მდგომარეობის, ტრადიციებისა და სამართლებრივი განვითარების მიხედვით. თანამედროვე საქართველო აქტიურადაა ჩაბმული ყველა იმ საკითხებში, რომლებიც ბავშვთა უფლებების დაცვას ეხება, მაგრამ პრაქტიკაში რიგი საკითხები მაინც რჩება პრობლემად, მაგალითად არიან მიუსაფარი ბავშვები, რომელთა სოციალური მდგომარეობა მეტწილად გაუსაძლისია და შესაბამისად დაუცველი რჩება. ნაშრომის სიახლე არის ამ საკითხების კვლევა. ჩემს მიერ პირველ ეტაპზე მოხდა ყველა იმ თეორიული საკითხის თავმოყრა, რომელიც ბავშვის უფლების დაცვას ეხება. მრავალ უფლებათა შორის პრიორიტეტად განათლების სფერო შევარჩიე და უფრო მეტი ყურადღებით ამ საკითხში არსებულ პორობლემებს ჩავუღრმავდი. შემდგომ მოვახდინე შედარება საქართველში არსებულ რეალობასთან და საბოლოო ჯამში ჩამოვაყალიბე თეორია ბავშვის უფლების დაცვის შესახებ ადამიანის უფლებათა დავცის რეგლამენტაციის ფარგლებში საქართველოს მაგალითზე.

თავი I ადამიანის უფლებების განვითარება ისტორიულ ჭრილში

ადამიანებმა ბიოლოგიური თუ ინტელექტუალური განვითარების გარკვეულ ეტაპზე მიაღწიეს შეთანხმებას შექმნათ უდიდესი გაერთიანება - სახელმწიფო, რომელიც თავისი შინაარსით ყოველ ისტორიულ ეტაპზე უფრო და უფრო იხვეწებოდა და ცდილობდა სრულყოფილების მიღწევას. მაგრამ, მანამ სანამ, სახელმწიფო, როგორც სისტემური მექანიზმი, დაიწყებდა ფუნქციონირებას, ანუ მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა სახელმწიფო და სამართალი, ადამიანები ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მისაღწევად სხვადასხვა წესებზე თანხმდებოდნენ, იცავდნენ ამ წესებს რომლებიც ხშირად დაწერილიც არ იყო და საყოველთაოდ მათ დაცვას ცდილობდნენ. აღნიშნული წესები თაობებს ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა და მეტად მკაცრ მოთხოვნებს ეფუძნებოდა.

ადამიანთა უფლებების საყოველთაო აღიარება კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელობანი ნაბიჯია, რომელიც ,,წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს''.

თანამედროვე გაგებით თუ მივუდგებით საკითხს სახელმწიფო განსაზღვრულ გეოგრაფიულ რეგიონში, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები იმ ადამიანთა ერთობაა, რომლებიც გაერთიანდნენ წინასწარ შეთანხმებული წესების ირგვლივ. ამ წესების შემოღება სწორედ ადამიანთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის მოტივით იყო ნაკარნახევი და რაც ყველაზე საინტერესო ურთიერთქმედების საფუძველს იძლევა ეს არის ის, რომ ადამიანებმა ამ წესების დაცვა, თავიანთი სახელით ხელისუფლებას ანდეს.[22]

ადამიანის უფლებების მრავალგვარი განმარტება არსებობს, თუმცა საერთო ჯამში არის მთავარი არსი მდგომარეობს შემდეგში - ყველა მათგანი აღიარებს რომ ადამიანის შესაძლებლობაა „უფლება„, კერძოდ თავისი შეხედულებისა და კანონის შესაბამისად განახორციელოს გარკვეული ქმედება ანდა თავი შეიკავოს ამ ქმედების განხორციელებისაგან.

მაგალითად, ადამიანს აქვს საკუთრების უფლება, ეს ნიშნავს რომ მას აქვს შესაძლებლობა შეიძინოს ან მემკვიდრეობით მიიღოს ესა თუ ის ქონება, ანდა გაყიდოს, გააჩუქოს და გაასხვისოს ის თავისი შეხედულებების მიხედვით. ასევე ადამიანს აქვს განათლების თავისუფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქვს უფლება ეზიაროს უმაღლეს განათლებას და მოახდინოს მისი საჯაროდ აღიარება, ასევე სრული უფლება აქვს აირჩიოს საპირისპირო და საერთოდ არ მიიღოს უმაღლესი განათლება და ა.შ. აქ მთავარი მომენტი არის ის, რომ სახელმწიფომ იზრუნოს ნებისმიერ ადამიანზე განურჩევლად მისი აკადემიური დონისა თუ სოციალური ყოფისა.

„ადამიანის უფლებები“ ზოგადი ტერმინია და მის ქვეშ უპირატესად ისეთი ქმედებების თავისუფლება მოიაზრება , რომლის დაცვაზეც პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აკისრია.

მაგალითად სიცოცხლის უფლება გახლავთ უფლებათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას პირობითად ნომერ პირველი უფლება, მისი დაცვა კი გულისხმობს სახელმწიფოსგან მოითხოვს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ერთის მხრივ დაიცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და მეორეს მხრივ მისი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს ეფექტურ გამოძიებას და დამნაშავის დასჯას კანონის შესაბამისად.

ადამინის უფლებების სფერო ე.წ. ვერტიკალური მოქმედების სფეროა, სადაც მხარეებს სახელმწიფო და ადამიანი წარმოადგენ. ეს მცნება დიდი ხნის განმავლობაში ბუნდოვანი იყო. ისტორიულად, ეს მცნება მოიცავს იმ ბუნებრივ თანდაყოლილ უფლებებს ,რომლებიც გამომდინარეობს **ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი ღირსებიდან,** რომელიც კონცენტრირებულია არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ინდივიდზე, არამედ ზოგადად კაცობრიობაზე. ძველი ადამიანის უფლებების წყარო ზებუნებრივი ხასიათის იყო, რაც იმას

ნიშნავდა, რომ მისი უფლებები და თავისუფლებები ღმერთისაგან იყო ნაბოძები, აღნიშნული შეხედულებები დღესაც აქტუალურია, განსაკუთრებით თეოკრატიულ სახელმწიფოებში.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ზღუდავს სახელმწიფოსა და ხალხს ხელისუფლების განხორციელებისას. მაშასადამე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ამგვარი გარანტიის შექმნით პიროვნება დაცულია ხალხისა და სახელმწიფოს თვითნებობისაგან.

ამრიგად, სახელმწიფოები თავიანთ სრულქმნადობასთან ერთად თანდათან ცდილობდნენ ასევე სრულქმნილი ყოფილიყო თვითეული ინდივიდის უფლებების დაცვა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ყველა სახელმწიფო გამოირჩევა თავისი ინდივიდუალიზმით, რაც თვითეულს სძენს განსაკუთრებულ ხიბლს და ხდის აქტუალურს საერთაშორისო არენაზე. ამდენად თვითეული სახელმწიფოს მიდგომები ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში განსხვავდება ერთმანეთისაგან. მთავარია, რომ არ მოხდეს იმ ძირითად ღირებულებებზე გვერდის ავლა რაც საყოველთაოდაა აღიარებული და დაცული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ასევ მნშვნელოვანიოა სახელმწიფოს მმართველობის ფორმები, რადგან აღნიშნული არის განსაზღვრებები უფლებათა დაცვისა და უზრუნველყოფის თვალსაზრისით. არსებობენ სახელმწიფოები, რომელბიც ძალიან შორსაა სამართლებრივ და საკანონმდებლო სისტემურ ჩამოყალიბებისაგან, ამდენად აქ ადამიანთა მიმართ გადაგვარებული და რადიკალური მიდგომები უფრო დომინირებს, ვიდრე სრულყოფილი და საყოველთაოდ აღიარებული.

ორასი წლის წინ თავისი სახელმწიფოს დაარსებისას ამერიკელებმა დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულაში აღიარეს ჭეშმარიტება, რომ ყველა ადამიანი არის თანასწორი და დაჯილდოებულია ღმერთის მიერ ხელშეუხებელი უფლებებით.

ეს ორასი წლის წინათ იყო, მაგრამ ადამიანის უფლებების პირველწყაროები არა ამ პერიოდიდან არამედ უძველეს ხანაში დევს, რომელთა ნაწილიც წინამდებარე ქვეთავშია მიმოხილული. ადამიანის უფლებები ცოდნის ის დარგია, რომელიც მჭიდროდ და კომპლექსურადაა დაკავშირებული რელიგიასთან, ფილოსოფიასთან, ეთიკასთან, ასევე სხვადასხვა ისეთ მეცნიერებებთან, როგორიცაა მაგალითად იურიდიული და პოლიტიკური

მეცნიერებები. ცოდნის ეს დარგი თანამედროვე სახით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა, თუმცა მისი სათავეები მკაფიოდ შეინიშნება ძველ ეპოქაში, შუა საუკუნეებში და რა თქმა უნდა განმანათლებლობის ეპოქაში.

1.1. ადამიანის უფლებების დაცვის პირველი მცდელობები

ადამიანი არსებობის დღიდან სოციუმში საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის ბრძოლობს. ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად ხდება ადამიანის უფლებების განვითარება და რეალიზაცია. ეს დამოკიდებული იყო სახელმწიფო მმართველობისა და პოლიტიკის იმ რეჟიმზე, რომელშიც ინდივიდს უხდებოდა ცხოვრება.

განვითარებულმა ცივილიზაციამ, როგორც ცნობილია, რამოდენიმე საზოგადოებრივ–ეკომიკური ფორმაცია განვლო: პირველყოფილი–თემური წყობილება, მონარქიული წყობილება, რომელმაც ყველაზე მეტ ხანს იარსება ისტორიის მანძილზე, ბურჟუაზიაული და ბოლოს კაპიტალისტური წყობილება. მნიშვნველოვანია ერთი გარემოება, კერძოდ კაპიტალისტური წყობის პარალელურად, რომელიც დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში ვითარედებოდა, აღმოსავლეთ ევრაზიის უდიდეს ნაწილზე სოციალიზმს ჩაეყარა საფუძველი და მეოცე საუკუნის 90–ია წლებამდე იარსება, თუმცა რამოდენიმე სახელმწიფო დღესაც სოციალისტური შინაარსისაა.

ანტიკური ეპოქის ქვეყნებში საზოგადოების მკაცრი სოციალური დიფერენციაციაა, სადაც არისტოკრატიული ფენის გარდა ყველა სხვა დანარჩენი საზოგადოება ერთ ფენად – მონებად, ზოგიერთ ქვეყანაში ორ ფენად – მონებად და გლეხებად დიფერენცირდება. რასაკვირველია მონები და გლეხები ყოვლად უუფლებო ფენას წარმოადგენს. მაგალითად რომის სამართალი, რომელიც ცივილურ სამართლად იწოდება და რომელმაც დასაბამი მისცა თანამედროვე სახელმწიფო და სამოქალაქო სამართლის განვითარებას, მონებს უწოდებს INSTRUMENTUM VOCALES რაც მოლაპარაკე ინსტრუმენტს ნიშნავს.

აღნიშნული საკითხი ჩემი სამაგისტრო ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ყველა საზოგადოებრივ–ეკონომიკურ ფორმაციაში სხვადასხვაგვარად ხდება ადამიანის და განსაკუთრებით ბავშვის უფლებების დაცვა. საკითხის სრულყოფილად წარმოდგენისათვის განვიხილოთ დღემდე შემონახული სამართლის ძეგლები, სადაც საუბარია ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე.

ორი ათასი წლის წინ უძველესი ახლო აღმოსავლეთის მონარქმა გამოაქვეყნა სიგელი, რომელიც ადამიანის უფლებების უძველეს დეკლარაციად ითვლება და ის ცნობილია კიროსის ცილინდრის სახელით.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა პირველ დეკლარაციად სპარსეთის სამეფოს დამაარსებლის, კიროს II დიდის მიერ ჩვ.წ.აღ.მდე 539 წელს შექმნილი, თიხის ცილინდრზე ამოტვიფრული დეკლარაცია მიიჩნევა, რომლითაც კიროს დიდმა გარკვეულწილად ბოლო მოუღო მონობას და დიქტატურას. 1971 წელს გაეროს ყველა ოფიციალურ ენაზე კიროს დიდის დეკლარაცია, როგორც ადამიანის უფლებათა პირველი დეკლარაცია თარგმნეს. რასაკვირველია, ეს დოკუმენტი თავისი არსით, შორს არის ადამიანის უფლებათა თანამედროვე დეკლარაციის გაგებისგან, ვინაიდან წარმოადგენს მონარქის კეთილი ნების გამოხატულებას საკუთარი აბსოლუტური უფლებების შეზღუდვისა და ქვეშევრდომებზე ზრუნვის თვალსაზრისით.[1][6]

წარწერა ცილინდრზე ლაპარაკობს, რომ კიროსი მომხრეა რელიგიური, რასული და ლინგვისტური თავისუფლებისა და უფლებას აძლევს ბაბილონიდან გაძევებულებს უკან დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში. ის კოროსს წარმოაჩენს როგორც ბაბილონელებისათვის მომგებიან და ცხოვრების გამაუმჯობესებელ მმართველად.

„არავის მივცემ უფლებას სხვისი ნივთი ძალით წაიღო, იქნება ეს ნივთი თუ მიწა. სანამ ცოცხალი ვარ ვკრძალავ დაძალებულ და უჯამაგირო შორმას. ადამიანები თავისუფალნი

---

[1] **კიროსის ცილინდრი** — აქემენიდი კიროს II დიდის ცილინდრის ფორმის თიხის აქადურ ენაზე სოლისებრი დამწერლობით შესრულებული მანიფესტი და დეკლარაცია, რომელიც თარიღდება ძვ. წ. VI საუკუნით. აღმოაჩინეს 1879 წელს ბაბილონის ნანგრევებში. ინახება ბრიტანეთის მუზეუმში, რომელმაც დააფინანსა ექსპედიცია და აღმოაჩინა ცილინდრი. ცილინდრის შექმნა მოხდა სპარსელთა მიერ ახალი ბაბილონის სამეფოს დაპყრობის აღსანიშნავად.

არიან ყველა რეგიონში და შეუძლიათ იმუშაონ რა საქმითაც უნდათ თუ ეს სხვის უფლებებს არ შეზღუდავს“

კიროსის მანიფესტის ამ პატარა ამონარიდიდან ნათლად ჩანს თუ რამდენად აღიარებულია ადამიანის უფლებები ამ არადემოკრატიულ სახელმწიფოში. საკითხი მანიფესტის ტექსიტის ავთენტურობაზე არ გახლავთ სადაო, მაგრამ იმის შესახებ თუ რამდენად იყო მეფე კიროსი ამ დოზით დემოკრატი მმართველი იწვევს გარკვეულ კამათს ისტორიკოსთა და ექსპერთა შორის.

საინტერესო აქ ერთი გარემოებაა – კიროსის მიერ, თუნდაც წერილობით, ადამიანის უფლებათა დეკლრირება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ახდენდა თუ არა კიროსი მართლაც ამ უფლებების რეალურ დაცვას. აღნიშნულ საკითხზე დადასუტებულად საუბარი 2500 წლის შემდეგ შეუძლებელია.

ადამიანის უფლებათა გაგება პირველად ჩაისახა ჩვ.წ.აღ.მდე VI-V საუკუნეებში ათენში, რომში, იქ სადაც დემოკრატიის იდეები პირველად წარმოიშვა და შეიქმნა ე.წ. მოქალაქეობის კულტურა. მოქალაქეობასთან, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო პოლიტიკური უფლებები: თავისუფლების უფლება, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღების უფლება, მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობა და ა. შ.

ამგვარი ინსტიტუტი ძველი პოლისებისათვის დამახასიათებელი მოქალაქეობის პრინციპის და შეზღუდულობის მიუხედავად შეიძლება მხოლოდ კულტურის მაღალ დონეს წარმოეშვა. შემთხვევითი არ არის, რომ იმ ეპოქაში მოქალაქეობის იდეა და ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო სახელმწიფო წყობილების მხოლოდ ისეთი ფორმისათვის, როგორიც იყო პოლიტეა[2].

მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების თავდაპირველი წარმოდგენები, თითოეული მოქალაქის პოლისის კეთილდღეობისათვის ზრუნვის შესახებ ჩამოყალიბდა იმ თეორიათა საერთო კალაპოტში, რომლებიც ხაზს უსვამდნენ კანონისა და კანონიერების უდიდეს მნიშვნელობას მაგალითად, პლატონი, სოკრატე, არისტოტელე, პერიკლე, დემოსთენე და

[2] **პოლიტეა** – არისტოტელეს აზრით, არის საზოგადოების სწორი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დემოკრატიისა და არისტოკრატიის შენაერთს წარმოადგენს და გათანაბრებითი და განაწილებითი სამართლიანობის საწყისებს აერთიანებს

სხვები. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ადამიანის უფლებათა და საზოგადოებაში კანონის უზენაესობის პრინციპის ურთიერთქმედებათა განუყოფლობა დაადასტურა.

ადამიანის უფლებებს ისტორიული განვითარების ყოველი ახალი საფეხური ახალ თვისებებს მატებდა და მათ სუბიექტთა უფრო ფართო წრეზე ავრცელებდა. ადამიანის ისტორიული შემოქმედების პროცესი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ უფლებათა და თავისუფლებათა მოცულობაზე, რომლებიც განსაზღვრავენ მის სოციალურ შესაძლებლობებს და კეთილდღეობას, უზრუნველყოფენ ცხოველმოქმედების თვისებას, კავშირებისა და ურთიერთქმედებათა სისტემას, ადამიანთა ურთიერთობებს საზოგადოებაში. ამიტომაც **ადამიანის უფლებათა პრობლემა ყოველთვის მწვავე კლასობრივი ბრძოლების საგანი იყო**. ბრძოლები მიმდინარეობდა იმ უფლებათა ფლობისა და გაფართოებისათვის, რომლებიც აფიქსირებდნენ ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში და საზოგადოების განვითარების ყოველი ახალი საფეხური ნაბიჯი იყო თავისუფლების შეძენისა და გაფართოებისაკენ გადადგმული.

ისტორია ცხადყოფს, რომ კაცობრიობისათვის უცნობია დრო, როდესაც არ არის საჭირო ძალისხმევა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ისტორიის მუდმივ გამოწვევას, ყოველი თაობა პასუხობს, რომელიც დაკავშირებულია ისეთი დიდი ფასეულობის დაცვა - შენარჩუნებასთან, როგორიც არის ადამიანის თავისუფლება და უფლებები.

ადამიანის უფლებათა ისეთი ინსტიტუტების ფორმირების გაცნობა, როგორიც არის პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა, უფლება სასამართლო წესით დაცვაზე, პირის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება, სიტყვისა და სინდისის თავისუფლება და სხვები, ცხადყოფს ადამიანის უფლებებისა და მათი გარანტიების გაფართოების თანდათანობით და გარდაუვალ პროცესს.

იმის გაგება, რომ ყველა ადამიანი უფლებამოსილია, თავისი ღირსებიდან და ადამიანურობიდან გამომდინარე, ფლობდეს ადამიანის უფლებებს შედარებით ახალია.

თუმცა მისი ფესვები გადგმულია მრავალი კულტურის ადრეულ ტრადიციებსა თუ დოკუმენტებში.

ადამიანები უფლებებს და პასუხისმგებლობას ისტორიულად ეპოქის შესაბამისად იძენდნენ, რომელიც გამისაზღვრება მათი ამა თუ იმ ჯგუფის მიკუთვნების მიხედვით - იქნებოდა ეს ოჯახი, დომინანტური ერი, რელიგია, კლასი, საზოგადოება თუ სახელმწიფო. ზოგადად საზოგადოებაში არსებობდა ე.წ. ოქროს წესი - **„სხვას ისე ნუ მოექცევი, როგორც არ გინდა, შენ რომ მოგექცნენ“** - მსგავსი ტრადიციებია ინდურ ვედებში, ბაბილონური ჰამურაბის კოდექსში, ბიბლიაში, ყურანში და კონფუცის აფორიზმებში. ეს ხუთი უძველესი წერილობითი წყაროა, რომლებიც ადამიანთა მოვალეობების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების საკითხებს შეეხება. გარდა ამისა, ამერიკელი აბორიგენი ტომების ინკებისა და აცტეკების ქცევისა და მართლმსაჯულების კოდექსები და იროკეზების კონსტიტუცია იყო ადგილობრივი ამერიკული წყაროები, რომლებიც მე-18 საუკუნემდე კარგა ხნით ადრე არსებობდა. აღსანშნავია, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში დანკვიდრებულია ზეპირი ანდა წერილობითი ტრადიცია, რომელიც მორალსა და ქცევას აწესებს და მართლმსაჯულებასთან ერთად მიზნად ისახავდა თავისი წევრების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვას.

რამოდენიმე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის სამშობლოდ თამამად შეიძლება ინგლისის სამეფო დავასახელოთ. მათ მთავარ მიზანს აბსოლიტური მონარქიის შეზღუდვა და პარლამენტარიზმის გაძლიერება წარმოადგენდა:

ისტორიულად მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელმაც დასაბამი დაუდო ადამიანის უფლებათა თანამედროვე დეკლარაციებს, წარმოადგენს ინგლისის სამეფოს თავისუფლების დიდი ქარტია (Magna Carta Libertatum). როგორც ცნობილია 1215 წელს ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლოს ფეოდალებმა და სასულიერო პირებმა ქარტიაზე ხელი იძულებით მოაწერინეს და ქარტია ქვეშევრდომებისთვის აბსოლუტური მონარქიის წნეხისგან დაცვის ერთგვარი გარანტი გახდა.

1679 წელს მიღებული ჰაბეას კორპუს აქტის მიღებიდან ათ წელიწადში, 1689 წელს, ინგლისის პარლამენტმა დაამტკიცა უფლებათა ბილი (Bill of Rights), რომელიც

პარლამენტის როლის გაძლიერებას ემსახურებოდა აბსოლუტური მონარქიის პირობებში, თუმცა აღნიშნული.

“ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან, როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ შემოქმედმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორებიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა; რომ ამ უფლებათა გასამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას იღებენ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ; რომ თუ განმგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა.”[22]

სიტყვები, რომლებსაც 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესავალში ვკითხულობთ, კარგად აღწერს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ძირითად არსს, ამავე დროს დემოკრატიული სახელმწიფო მოწყობის ანბანს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია 1791 წელს აშშ კონსტიტუციას დაემატა შესწორებები, რომელთაგან პირველი ათი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების ჩამონათვალს წარმოადგენს. აღნიშნული შესწორებები საფრანგეთის რესპუბლიკის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციასთან ერთად, საფუძვლად დაედო გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას. უფლებათა ბილი იცავს მოიცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, სამართლიანი სასამართლოს, ხელისუფლების განაწილების პრინციპს და ა.შ. უფლებათა ბილი აშშ-ის კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, როგორც საფრანგეთის შემთხვევაში და მოქალაქეები მათი გამოყენებით დღესაც ხშირად იცავენ თავიანთ უფლებებს.[22]

საფრანგეთის რევოლუციის შედეგად დაემხო აბსოლუტური მონარქია და შეიქმნა საფრანგეთის რესპუბლიკა, მასვე უკავშირდება ადამიანის უფლებათა ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - საფრანგეთის რესპუბლიკის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. რომელიც, საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ 1789 წელს მიიღო და საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. დეკლარაციაში აღიარებულია დაბადებიდანვე ადამიანის თავისუფლება და თანასწორობა, კანონის

უზენაესობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ა.შ. საფრანგეთის უფლებათა დეკლარაცია იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ როგორც სათაურიდანვე ჩანს, იგი შეეხება არა მხოლოდ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების უფლებებს, არამედ ასევე აღიარებს მისი, როგორც მოქალაქის უფლებებს, კერძოდ იცხოვროს სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობასა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვას, ასევე ხელი მიუწვდებოდეს კანონიერებასა და დაცულობაზე.

1.2. ადამიანის უფლებათა თაობები

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა გაგებამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში განხორციელდა უფლებათა დაყოფა თაობებად:

- ✓ პირველი - **პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები;**
- ✓ მეორე – **სოციალურ ეკონომიკური უფლებები;**
- ✓ მესამე - **კოლექტიური უფლებები**

ადამიანის უფლებების ევოლუციის ძირითადი ეტაპები, ტრადიციისამებრ, უფლებათა თაობებად მოიხსენიება. მე-18 საუკუნიდან (აშშ-ის დამოუკიდებლობა, საფრანგეთის რესპუბლიკის შექმნა) მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე (მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი), ამ უფლებების განვითარება ცალკეული სახელმწიფოების დონეზე ხდებოდა, რომლებიც გამოკვეთილია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელ რამოდენიმე ფუძემდებლური დოკუმენტებში. ადამიანის უფლებების სხვადასხვა თაობების აღიარება საერთაშორისო ან რეგიონულ დონეზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან, მხოლოდ ერთად მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ადამიანის უფლებების პირველ თაობას წარმოადგენს. მე-18 საუკუნეში, როდესაც ადამიანებმა პიროვნული თავისუფლების, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, არჩევანის უფლება მოიპოვეს და პირველი თანამედროვე ტიპის სახელმწიფოები შეიქმნა, იწყება ადამიანის უფლებების განვითარება.

პირველი თაობის უფლებების კონტექსში სახელმწიფოს, გარკვეულწილად, პასიური ვალდებულება ჰქონდა, კერძოდ, მოქალაქეების უფლებების განხორციელება არ შეეზღუდა.

პირველ პოლიტიკურ დოკუმენტად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გვევლინება ინგლისში 1215 წელს მიღებული „**Magna Carta Libertatum**“, რომელმაც ფეოდალიზმში საფუძველი ჩაუყარა კანონის უზენაესობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანის დაცვას ხელისუფლების თვითნებობისგან. „**Habeas Corpus Act**“ **ეს** გახლავთ 1679 წელს ინგლისში მიღებული ასევე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლითაც სახელმწიფოს მხრიდან უსაფუძვლო დევნისაგან დაცული იყვნენ მოქალაქეები. მოგვიანებით, ინგლისშივე 1689 წელს მიღებული იქნა **Bill of Rights,** რომლის თანახმადაც მოქალაქეებს ქვეყნის მართვაში მიენიჭათ მონაწილეობის მიღების უფლება. პირველად იურიდიული სახით ადამიანის უფლებათა კონცეფცია XVIII საუკუნეში შეიქმნა. მისი სამართლებრივი გამოვლინებაა, როგორც ზემოთ ვთქვით 1776 წლის 4 ივლისს მიღებული ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

ასევე პირველი თაობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგად მიღებული „ადამიანის და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია“ (Declaracion des droits de l'homme et du citoyen). საფრანგეთის დეკლარაცია შეიცავს დღეისათვის ცნობილი თითქმის ყველა ძირითადი უფლებისა და თავისუფლების ჩამონათვალს. ადამიანის უფლებათა პირველი თაობა სამართლებრივად აისახა გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, 1966 წლის საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და სხვა დოკუმენტებში.

ამრიგად ადამიანის უფლებათა პირველ თაობას მიაკუთვნებენ ისეთ უფლებებს, როგორებიცაა:

- ✓ სიცოცხლის უფლება
- ✓ ადამიანის ღირსების და უსაფრთხოების დაცვა
- ✓ სიტყვის და გამოხატვის, რელიგიის და აღმსარებლობის თავისუფლება
- ✓ შეკრების და მანიფესტაციის უფლება
- ✓ წამების აკრძალვა
- ✓ უდანაშაულობის პრეზუმფცია

- ✓ უფლება სამართლიან სასამართლოზე
- ✓ საარჩევნო უფლებები
- ✓ კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა
- ✓ კერძო საკუთრების უფლება
- ✓ პირადი ცხოვრების უფლება

უფლებების მეორე თაობას მიეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკური უფლებები - მე-19 საუკუნეში აღმოცენდა და უკავშირდება ინდუსტრიალიზაციის მძიმე სოციალური შედეგების ფონზე სოციალური კეთილდღეობის და ადამიანის უფლებების ჰარმონიზების მცდელობას. სახელმწიფოს საკმაოდ მრავალრიცხოვან პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს მეორე თაობის უფლებები, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ევალება ამ უფლებების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ახალი ეკონომიკური და სოციალური უფლებების განვითარებას საფუძველი 1870 წელს ჩაეყარა. მაგალითად სამუშაო დღის შემცირებას, შრომის უსაფრთხოების დაცვას. სოციალურ დაზღვევას და სხვა. ამ უფლებებს მოგვიანებით კულტურული უფლებებიც დაემატა. ადამიანის უფლებათა მეორე თაობა ანუ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები სამართლებრივად აისახა, მაგალითად, 1966 წლის საერთაშორისო პაქტში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ.

სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებში მოიაზრება:

- ✓ უფლება კეთილდღეობაზე
- ✓ განათლების უფლება
- ✓ ჯანმრთელობის უფლება
- ✓ ღირსეულ პირობებში შრომის უფლება
- ✓ გაფიცვის უფლება
- ✓ საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის უფლება
- ✓ კულტურაზე წვდომის უფლება
- ✓ დასვენების და გართობის უფლება

მეორე თაობის უფლებებში უკვე იკვეტება ბავშვის უფლებების დაცვის საკიტხები, რადგან სოციალური და ეკონომიკური უფლებები – კეთილდღეობა, ჯანმრტელობის უფლება, შრომის უფლება და უფლებათა უფლება – სიცოცხლის უფლება პირადპირ კავშირშია ბავშვის კედილდღეობასტან სახელმწიფოში.

უფლებების მესამე თაობა გახლავთ კოლექტიური უფლებები, რომელიც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში იღებს სათავეს და შეიძლება ითქვას ბლომდე არ არის ჩამოყალიბებული, რადგან საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ამ უფლებების დეკლარირებისადმი იქნებოდა მიძღვნილი ჯერაც არ არსებობს. საქართველოს კონსტიტუცია კოლექტიურ უფლათაგან ზოგიერთს, როგორც ადამიანის უფლებას აღიარებს. ამ თაობის უფლებების საფუძველს ურთიერთდახმარების, სოლიდარობის, ერთად მშვიდობიანი არსებობის აუცილებლობის ცნება წარმოადგენს, რაც ადამიანის უფლებების განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.

მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში საკმაოდ მძიმე პირობებია, კერძოდ უკიდურესი სიღატაკე, ომი, ეკოლოგიური და ბუნებრივი კატასტროფები, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მცირე პროგრესს განაპირობებს. ამის გამო ბევრმა ადამიანმა გაიაზრა, რომ საჭიროა ადამიანის უფლებების ახალი კატეგორიის აღიარება: ეს უფლებები საზოგადოებებისათვის სათანადო პირობებს უზრუნველყოფდა, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, რათა სათანადოდ დაეცვათ უკვე აღიარებული პირველი და მეორე თაობის უფლებები. მესამე თაობის უფლებების კატეგორიაში მოხსენიებული სპეციფიკური უფლებები არის განვითარების, მშვიდობის, ჯანსაღი გარემოს, კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის გაზიარების, კომუნიკაციის, და ჰუმანიტარული დახმარების უფლება. ადამიანის უფლებათა მესამე თაობა ანუ კოლექტიური უფლებები აისახა, მაგალითად, 1986 წლის დეკლარაციაში განვითარების უფლების შესახებ.

მესამე თაობაში მოიაზრებენ შემდეგ უფლებებს:

- ✓ მდგრადი განვითარების;
- ✓ მშვიდობის, ან ჯანსაღი გარემოს უფლება;
- ✓ უფლება მშვიდობაზე;

- ✓ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება;
- ✓ უფლება მდგრად განვითარებაზე
- ✓ უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობა

თავი II ადამიანის თანამედროვე უფლებებისა და ძველი ქართული სამართლის ძეგლების შედარებითი ანალიზი

თანამედროვე საქართველოში ისეთი ცნებები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება თუ დემოკრატია სამწუხაროდ საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილის მიერ არის მიჩნეული ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილად. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა კი, მიიჩნევს საპირისპიროს, რომ ეს ცნებები არ წარმოადგენს ეროვნულ ღირებულებას და უცხოა ქართული კულტურისათვის.

საქართველო სახელმწიფოებრიობის ისტორიის არცთუ ისე დიდი ხნის ისტორიას ითვლის, მაგრამ ამ გზაზე ის ეტაპობრივად და ნელი სვლით აღწევს საწადელ შედეგებს. ამდენად გვიწევს ღირებულებების გადათვასება და ახალი აღმოჩენების გაკეთება. რამოდენიმე წელია ქართულ სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში სერიოზულად დადგა საკითხი ქართული კულტურისა და ადამიანის უფლებების უმაღლესი ღირებულებების თავსებადობის შესახებ. ქართულ ინტელექტუალურ, ძირითადად კი ჰუმანიტარულ და აკადემიურ წრეებში, არაერთგზის გამოთქმულა მოსაზრება რომ უნიკალური და ძირძველი ქართული კულტურა ასე ვძთქვათ „ვერ ჰგუობს“ ახალ და უცხო ღირებულებებს და რომ ადამიანის უფლებები და ლიბერალური ღირებულებები თავისი არსით შესაძლოა მიუღებელი იყოს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული მენტალობისათვის. ამავე დროს, საქართველოს, როგორც გაეროს წევრ დამოუკიდებელ ქვეყანას, დეკლარირებული აქვს დასავლური არჩევანი, ქვეყანა გახდა ევროსაბჭოს წევრი, რაც თავისთავად გულისხმობს ადამიანის უფლებათა და ღირებულებათა უპირობო აღიარებას

ადამიანის უფლებებსა და ეროვნულ ღირებულებებს შორის საქართველოში, თამამად შეიძლება ითქვას, კონფლიქტი არ არსებობს. ვინაიდან ადამიანის უფლებები მჭიდროდ არის დაკავშირებული იურიდიულ მეცნიერებებთან, ავტორთა ჯგუფის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამ კუთხით შეესწავლათ ქართული სამართლის ძეგლები და მოეძებნათ

ანალოგიები და განსხვავებები ამ ძეგლებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებსა და ადამიანის უფლებათა თანამედროვე დოკუმენტებს შორის.[1]

საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, რომ რაც უფრო მაღალია ხალხის მართლშეგნება, მით უფრო განვითარებულია მისი სამართლებრივი ინსტიტუტები და პირიქით, პრიმიტიული და განუვითარებელი სამართალი ყოველთვის დაბალი და ჩამორჩენილი უფლებრივი შეგნების ნაყოფი იყო.

ქართული სახელმწიფოსა და სამართლის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. შესაბამისი ეპოქის საზოგადოებაში არსებული წარმოდგენები ღირსებაზე ასახულია ძველი ქართული სამართლის ძეგლებში. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში სამართლის სფეროში, ისევე როგორც სახელმწიფოს მოწყობაში, ერთის მხრივ სახელმწიფო ხელისუფლება მოქმედებდა, მეორეს მხრივ კი ეკლესია, რომელიც სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა და განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მასზე.

შესაბამისად ქართული სამართლის ძეგლებიც ორგვარი იყო - საერო და საეკლესიო. ამასთან ერთად, საინტერესოა ნათარგმნი ძეგლები, მათ შორის საქრისტიანო მსოფლიოში მოქმედი სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლები - *დიდი სჯულის კანონი, სირიულ-რომაული, ბიზანტიური და სომხური კანონები,* რომლებიც საქართველოში მათ თარგმნამდე დიდი ხნით ადრე მოქმედებდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს კანონები იმდენად გადამუშავებული სახითაა თარგმნილი, რომ ისინი შესაბამისი ძეგლების თავისებურ ქართულ ვერსიად შეიძლება ჩაითვალოს.

მოკლედ ჩამოვთვლით ქართული სამართლის იმ ძეგლებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ქართული სამართლის ისტორიაში და შესაბამისად ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა

ნათარგმნი საეკლესიო ძეგლები

✓ „დიდი სჯულის კანონი“ - თარგმნა არსენ იყალთოელმა[3], თუმცა, როგორც ჩანს, მანამდეც იყო ნათარგმნი.[1]

[3] **არსენ იყალთოელი** — XI-XII საუკუნეების ქართველი სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი.

✓ „წესი და განგება და სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა“ - თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა[4].

✓ „კანონი შეცოდებულთანი“ - ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანი.

საკუთრივ ქართული საეკლესიო ძეგლები

✓ რუისს-ურბნისის 1103წ. კრების ძეგლისწერა.

✓ 1263 წლის „საქართველოს საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება“ - ეძღვნებოდა ულუ-დავითის მიერ საეკლესიო მამულების გასხვისებას.

✓ „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“ - XVI საუკუნის ძეგლია.

✓ 1767-68 წწ. „განჩინება“ - ეს ძეგლი ანტონ კათალიკოსმა და ერეკლე მეფემ შეადგინეს და დაამტკიცეს. აღნიშნულ ძეგლში საგულისხმო ცნობები მოიპოვება ქართულ-ხალხურ ზნე-ჩვეულებათა და სისხლის სამართლის ზოგიერთი დანაშაულისა და სასჯელთა შესახებაც.

საერო კანონმდებლობის ძეგლები მათ შორის: სახელმწიფო სამართლის ძეგლები

✓ „გარიგება ხელმწიფის კარისა“ - წმ. ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) აზრით, აღნიშნული ძეგლი გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში უნდა იყოს შედგენილი. ძეგლი საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილების, კულტურული და ეკონომიკური ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს შეიცავს.

✓ „წესი და განგებაი მეფეთა კურთხევისაი“ - ივანე ჯავახიშვილის აზრით, XV საუკუნეზე ადრე არ უნდა იყოს შედგენილი.

✓ „დასტურლამალი“ - იგი ვახტანგ VI მიერ XVII საუკუნის დასაწყისში შედგა. დასტურლამალი ანუ დასტური მოქმედებისა ვახტანგ VI სიტყვებით წარმოადგენს „სჯულისდებასა სახელმწიფოთასა“, ანუ ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლია, მაგრამ შინაარსი გაცილებით ფართო და მრავალმხრივია. მასში არის ცნობები მოსახლეობის აღწერის, შემოსავლის დავთრების შედგენის წესის, გადასახადების აკრეფის, გზების მოვლა-პატრონობის და ა.შ. შესახებ.

[4] **ექვთიმე (ეფთვმე) მთაწმიდელი** (დ. 955 — გ. 1028) — ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, 1005-1019 ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი.

სისხლის და სამოქალაქო სამართლის ძეგლები

✓ „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალესი“ ქართული სამართლის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია, რომელიც შედარებით სრული სახით არის შემონახული და სისხლის და სამოქალაქო სამართალს ეხება. თუმცა, ჩვენამდე მოაღწია სხვა საკანონმდებლო ძეგლებში გაფანტულმა ზოგიერთმა ფრაგმენტმა, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ III ხანას (978-1014) მიეკუთვნება. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ დავით აღმაშენებლის, გიორგი III და თამარ მეფის დროსაც იქნებოდა გამოცემული კანონები, რომლებმაც, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია.

✓ „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი“ შეადგინეს სამცხე-ჯავახეთის ათაბაგმა ბექა I ჯაყელმა (დაახლოებით 1240-1306 წწ.) და სამცხის ათაბაგმა აღბუღა I ჯაყელმა (XIV საუკუნის I ნახევარი). ეს ძეგლი გვაწვდის მეტად საგულისხმო ცნობებს იმდროინდელი სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურ წყობაზე, სამართლებრივ მდგომარეობაზე, დანაშაულთა სახეებზე, საოჯახო სამართალზე და ა.შ.

✓ „ვახტანგი მეფის სამართლის წიგნი და კოდიკოი“. კრებული შედგენილია XVIII საუკუნის დასაწყისში (1705-1708 წწ.). ბატონიშვილმა ვახტანგმა *„იგულა და იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდაბნეულ იყო“.* კრებული შეიცავს საკუთრივ ქართული სამართლის ძეგლების ერთობლიობას, რომელშიც შედის „სამართალი მეფისა გიორგისა“, „სამართალი ბექასი და აღბუღასი“, „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“, „კანონიკური სამართალი“ და თავად ვახტანგ მეფის შედგენილ ძეგლს - „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. კრებული შეიცავს აგრეთვე საქრისტიანო მსოფლიოში მოქმედ სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს - მოსეს შჯულს, სირიულ-რომაულ, ბიზანტიურ და სომხურ კანონებს, რომელნიც საქართველოში კრებულის შედგენამდე დიდი ხნით ადრე მოქმედებდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ ქართული სამართლის ისტორია მდიდარია მეტად საინტერესო სამართლის წყაროებით. რაც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს,

თანმიმდევრობით განვიხილოთ ყველა ის საკითხი, რომლებზეც საუბარი არის უძველეს ქართულ წყაროებში.

2.1. მონობა, როგორც ადამიანის უფლების უხეში დარღვევა

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მონობას განმარტავს, როგორც იმ ადამიანის ცხოვრების პირობებს, ან სტატუსს, რომელიც არ არის თავისუფალი სამუშაოს მიმცემის არჩევაში, რომელსაც ექცევიან როგორც საგანს, ან საკუთრებას და რომელიც შეიძლება გაიყიდოს ბაზარზე.

მონობის საწინააღმდეგო პირველი საერთაშორისო კონვენცია საერთაშორისო ასპარეზზე ერთა ლიგამ 1926 წელს ჟენევაში მიიღო. გაეროს მიერ 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლის მიხედვით აკრძალულია მონობის ყველა ფორმა: „არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში, ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია“. [25]

1956 წელს ჟენევაში 59 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს დამატებითი კონვენცია, რომლითაც გაუქმებულია მონობა, მონებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ყველა ინსტიტუტი და ადათი, რომელიც მონობასთანაა დაკავშირებული და მკაცრი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობებია დაწესებული აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირების მიმართ.

რაც შეეხება საქართველოს, სტრაბონის აღწერილობიდან ჩანს, რომ საქართველოში, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში *მარტო მეფესა ჰყავდა მონები,* ხოლო საზოგადოდ მონათმფლობელობაზე სტრაბონი არაფერს ამბობს. მონები მაშინ აღმოსავლეთ საქართველოში მრავალრიცხოვანნი არ უნდა ყოფილიყვნენ. ამგვარად სოციალური უთანასწორობის მხოლოდ ჩანასახი ჩანს და იბერიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ყოფილა. სხვა სურათი გვაქვს V-VI საუკუნეების საქართველოში, როდესაც მონამხევლები საქართველოში არამარტო მეფესა და აზნაურებს ჰყოლიათ, არამედ უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლებსაც კი, მაგალითად ხელოსნებს.

იაკობ ხუცესის სიტყვებით მომაკვდავი შუშანიკის სანახავად 472 წელს სხვებთან ერთად მოსულან „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“. რასაკვირველია ამ შემთხვევაში

აზნაური არამარტო წოდების აღმნიშვნელი ტერმინია, არამედ გვარის წარმომადგენელს, გვარის შვილს ნიშნავს და ამასთან დაკავშირებით „თავისუფალის“ მნიშვნელობაც ჰქონდა.

თუ ქართულ სიტყვა „თავისუფალი“ ჩავუკვირდებით, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ **თავისუფალი იწოდებოდა ის, ვისაც თავისი თავის უფლად ან ბატონად მიაჩნდა თავი, ანუ ვისაც ბატონი და უფალი არ ჰყავდა და ბატონს არ ემორჩილებოდა**. ის კი ვინც უაზნო ანუ უგვარო იყო, სხვა ქვეყნიდან იყო შემოხიზნული, ან ტყვედ წამოყვანილი ის თავისუფალი არ ყოფილა.

ქართული ლიტერატურული და სამართლის ძეგლების შესწავლის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა შემდეგი დაკვნა - **„სრული სიცხადით ირკვევა, რომ საქართველოში I-VII სს-ში მხოლოდ მონობა იყო, პატრონყმობა მაშინ არ არსებობდა. X ს-ის მეორე ნახევრითგან კი საქართველოში მარტო პატრონყმობაღა იყო, მონობა, როგორც საზოგადო მოვლენა უკვე აღარ არსებობდა. VII-IX სს-ში მონობის ხსენება ქრება, მაგრამ პატრონყმობა ჯერ არ არის. ამ ხანას გარდამავალი ხანის თვისებები აქვს და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რანაირი სოციალური დამოკიდებულება სუფევდა მაშინ უფალთა და იმ მსახურთა, ან სახლეულთა შორის, რომელნიც ამ დროს ძეგლებში მოხსენიებულნი არიან“**.[7]

რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ მონობის ყველა ფორმა გაუქმდა, არამედ მონობის მხოლოდ ძირითად, პირველყოფილი ფორმის გაუქმებაზეა საუბარი, მონობის სხვა სახეები კი მაგალითად ბატონყმობა, სავალო ვალდებულება, ჯერ კიდევ დიდხანს შემორჩა საქართველოში. მიუხედავად ამისა, *მონობის ძირითადი ფორმის გაუქმება მაინც უნდა შეფასდეს, როგორც იმ დროისათვის პროგრესული მოვლენა.*

აღნიშნული საკითხის უკეთ წარმოსადგენად შეიძლება პარალელურად მოვიყავნოთ საფრანგეთის მაგალითი. საფრანგეთში მონობა დიდი რევოლუციის დროს 1789-1799 წლ. გაუქმდა, მაგრამ ფაქტობრივად ის შენარჩუნებული იყო საფრანგეთის კოლონიებში XIX საუკუნის 40-იან წლებამდე. დიდმა ბრიტანეთმა 1807 წელს გააუქმა მონობა, მაგრამ ბრიტანულ კოლონიებში ეს ინსტიტუტი 1833 წლებამდე მოქმედებდა. XIX საუკუნის 50-იან წლებში მონობა გააუქმეს პორტუგალიაში, 60-იან წლებში კი ის გაუქმდა ამერიკის

კონტინენტის სახელმწიფოთა უმრავლესობაში. კერძოდ აშშ-მ მონობა 1861-65 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ გააუქმა.

ასე, რომ მონობა ზოგადად მსოფლიოში XX საუკუნის 50-იან წლებამდე მოქმედებდა. მიუხედავად მონობის საწინააღმდეგო ორასწლიანი ბრძოლისა, მონობის გარკვეული ნიშნები მაინც არსებობს.

გაერო-ს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და ავსტრალიური არასამთავრობო ორგანიზაცია **Walk Free Foundation-ის** 2017 წლის მოხსენებაში ნათქვამია - *„...2016 წლის მონაცემებით, 40,3 მილიონი ადამიანი თანამედროვე მონობის მსხვერპლია. ეს ნიშნავს იმას, რომ 2016 წლის ნებისმიერ დღეს 40 მილიონზე მეტ მამაკაცს, ქალსა და ბავშვს მათი ნების საპირისპიროდ მუშაობას აიძულებდნენ ან იძულებით ქორწინებაში ამყოფებდნენ".* მოხსენების ავტორები მიიჩნევენ, რომ *იძულებით სამუშაოებზე მსოფლიოში 24,9 მილიონი ადამიანია დაკავებული.*

მეტად მნიშვნელოვანია ჩემი კვლევისათვის შემდგომი მონაცემი - ***Walk Free Foundation-ის** მიერ გამოცემული დოკუმენტის თანახმად, **მსოფლიოში 5-17 წლამდე ასაკის მომუშავე ბავშვის და მოზარდის რაოდენობა 152 მილიონს აღწევს.***

2.2. სასამართლო ხელისუფლება, როგორც უფლებათა დაცვის გარანტორი

საქართველომ ფეოდალიზმის საკმაოდ დიდი და ვრცელი პერიოდი განვლო. ზემოთხსენებულ ქართულ პატრონყმობასა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას შორის მრავალი მსგავსების გარდა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იყო. დასავლეთ ევროპელი პატრონი ანუ ფეოდალი თავისი საფეოდალოს უმაღლესი გამგებელია და მას ავტონომიური კომპეტენცია გააჩნია, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს მართვისათვის უმნიშვნელოვანესი ორი ფუნქციის ერთპიროვნულად განხორციელებას - გადასახადების აკრეფას და მართლმსაჯულებას. ფეოდალის ხელთ იყო როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალი და სასამართლო. მის საპატრონო მიწაზე სამეფო სასამართლო არ მოქმედებდა და მისი ყმები მეფის მსაჯულებს არ ექვემდებარებოდნენ,

მათთვის სასამართლოს და სამეფო სამართლის კარები დახშული იყო. ანუ ყმას ან გლეხს სამართალი ისევ იმასთან უნდა ეძებნა, ვინც მისი უფლებები შელახა. ყოველივე ეს სრულიად ცხადად გვაძლევს საფუძველს სერიოზული ეჭვი შევიტანოთ ამ სასამართლოების მიუკერძოებლობაში, დამოუკიდებლობაში და ობიექტურობაში. და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ფეოდალიზმი სახელმწიფოს მრავალი კერძო მეურნეობის ელფერს აძლევდა და ამით ძირს უთხრიდა სახელმწიფოს მთლიანობას.[1]

იმ პერიოდში, როდესაც პატრონყმობის ინსტიტუტი მოქმედებდა, საქართველოში მსგავსი არაფერი ყოფილა. პატრონებს არ ჰქონდათ თავიანთი ყმების გასამართლების უფლება, არამედ ყმებიც სამეფო სასამართლოს ექვემდებარებოდნენ და მათთვის სახელმწიფო სასამართლოს კარი მუდამ ღია იყო. ე.წ. სასამართლო შეუვალობის უფლება, მხოლოდ ქართულ ეკლესიას ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საეკლესიო მართლმსაჯულებაში ვერავინ ჩაერეოდა და ეკლესიის ყმები მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს ემორჩილებოდნენ.

ზემოთქმულიდან ერთი მნიშვნელოვანი რახ ხდება ცხადი, რომ იმდროინდელ საქართველოში სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამართალი საფუძვლიანად განსხვავდებოდა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპული სამართლისაგან და შედარებითი სამართლის გამოყენებისას უნდა ვაღიაროთ, რომ აშკარად პროგრესული იყო, ვინაიდან სახელმწიფოებრივი აზროვნების მატარებელ ნიშან-თვისებებს შეიცავდა.

სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა დავით აღმაშენებელმა. მის სახელთანაა დაკავშირებული სასამართლო დაწესებულების - **„სააჯო კარის“** რეფორმა, რომელიც უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა და რომელსაც ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესი ხელმძღვანელობდა. მისი კარი მუდამ ღია იყო მათთვის, ვინც ქვედა დონის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყო და შესაბამისი „აჯა“[5] შეჰქონდა. ორშაბათობითის გარდა საქმეებს სხვა მოსამართლენი განიხილავდნენ, ხოლო ორშაბათს ჭყონდიდელი თავად იყო მსაჯული. აქედან ჩანს სასამართლოს საქმიანობის ზედმიწევნით ზუსტი სისტემატიზაციის ნიშნები. **სამართლის**

[5] **აჯა** – ჰაჯა, არაბულად „ჰაჯათ“ ძველ საქართველოში ხელისუფლებისადმი მიმართული თხოვნა-ვედრება.

ახალი ინსტიტუტის შექმნა და მართლმსაჯულების სახელმწიფოს მართვა-გამგეობისაგან გამოყოფა იმ დროისათვის უდაოდ პროგრესული ნაბიჯი იყო.

გვიანფეოდალურ საქართველოშიც ქვეყნის უზენაესი მოსამართლე მეფე იყო. ვახტანგ VI „განაჩინა წიგნი სამართლისა, ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნოს სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთ თანა“. სხვა დღეებში საქმეებს მდივანბეგი არჩევდა. ამ პერიოდში სასამართლო დაწესებულებას *„დივანს“* უწოდებდნენ, რაც სპარსულად სახელმწიფო კრებას, კანცელარიას ნიშნავდა, მდივანბეგად კი უფროსი მოსამართლე იწოდებოდა. ეს ინსტიტუტი საქართველოში XV საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებობს. შემდგომში ერეკლე II გააფართოვა მდივანბეგის უფლებამოსილება. ეს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მაჩვენებელიც იყო. ერეკლემ შეზღუდა თავადთა უფლებები და აქტიურად ერეოდა სათავადოს საშინაო საქმეებში. ცნობილია, რომ ერეკლე II სისტემატურად არჩევდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, ამასთან, ანგარიშს არ უწევდა საქმის სირთულეს, ან მოდავე მხარეთა სოციალურ მდგომარეობას. მის მიერ გამოტანილი განაჩენები სამართლიანობით გამოირჩეოდა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. საკუთარი ან სხვა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა, აღსრულების შეჩერება ან გაუქმება მხოლოდ მეფეს ხელეწიფებოდა.

ქართული სამართლის ძეგლებში დიდი ყურადღება ექცევა როგორც მოსამართლეთა მიუკერძოებლობას, პატიოსნებას, არაკორუმპირებულობას, პროფესიონალიზმს, ასევე სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლებასა და შეჯიბრებითობის პრინციპს სასამართლო პროცესის დროს.

ის თვისებები, რომლითაც უნდა იყოს შემკული მოსამართლე ბატონიშვილ ვახტანგის სამართლის წიგნის მე-3 მუხლის მიხედვით არის:

„პირველ ესე, რომე მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხუდარი, გამომეძიებელი, გონებააუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი, მოჩივრის მოადის მომცდელი და სხვისაც მკითხველი, თუ ამისი სამართალი თგვენგან როგორ ისინჯვის, მოწმის მაძებარი უნდა იყოს, უქრთამო ღვთის მოშიში.

...მარტო მოჩივარს სამართალი არ უნდა უყოს, მეორეც დაიბაროს და ორნივ ერთად ალაპარაკოს. მოწმით, კითხვით და გამოძიებით მათის საჩივრის მართლად შეტყობას ეცადოს. რაც ფიცხლავ სამართალი ქნას - უნდა ორჯელ, სამჯერ, ხან ერთად და ხან ცალცალკე ალაპარაკოს.

...არც მტყუანსა და არც მართალზე ქრთამი არ არის, და არც უნდა მოსამართლემ ინდომოს და აიღოს, თორემ ძნელი ტვირთი დაუც აღსაკიდებელად ბეჭთა თვისთათვის".[2]

იქვე 215-ე მუხლში ჩამოთვლილია ის მოთხოვნები, რომელიც სავალდებულოა მოსამართლის თანამდებობის მისაღებად:

„ორმოცს წელიწადს იქით იყოს და არც, დიაღ, სიღარიბე აწუხებდეს, თორემ მოტყუვდება; ღვთისმოშიში იყოს".

შედარებისთვის პარალელი გავალოთ შესაბამის ამონარიდებს ადამიანის უფლებათა ძირითადი დოკუმენტებიდან:

ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, მუხლი 8

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეფექტიანად აღიდგინოს თავისი უფლებები კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოში იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისი კონსტიტუციური თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები».

მუხლი 10

„ყოველ ადამიანს მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად, სრული თანასწორობის საფუძველზე, უფლება აქვს, რომ მისი საქმე საჯაროდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ".[25]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია, მუხლი 6.1 - სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება:

„სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და საჯარო

მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში".[10]

ამრიგად თანამედროვე და ძველი ქართული სამართლის ძეგლების მოკლე შედარებითი ანალიზი სასამართლო ხელისუფლების განხორციელების კუთხით გვაძლევს შესაძლებლობას თამამად ვთქვათ რომ საქართველო უფრო ძველი ტრადიციების მატარებელი ერია სამართლებრივი განვითარების კუთხით, სადაც მესამე ხელისუფლების - სასამართლოს და მისი ქვემდებარეობის საკითხები ზედმიწევნით დეტალურად და სრულყოფილადაა წარმოდგენილი, რაც უდავოდ წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიას და შესაძლებლობას დაეცვას თავი ჩაგვრისა და ბოროტებისაგან.

2.3. სამართლებრივი სახელმწიფო, თანასწორობა კანონის წინაშე და კანონის უზენაესობა

ტერმინი - სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც ცნების სამშობლო გერმანულია - Rechtsstaatlichkeit. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება ადამიანის უფლებათა სფეროში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ადამიანსა და ხელისუფლებას შორის მკაფიო, სტაბილური და საყოველთაო წესები არსებობს. ეს ისეთი სახელმწიფოა, რომელშიც ადამიანს შეუძლია საკმაოდ ზუსტად გამოიცნოს ხელისუფლების რეაქცია მის ქმედებაზე. ადამიანმა ზუსტად იცის, თუ რა სასჯელი მოჰყვება ამა თუ იმ დანაშაულს, ისიც იცის, რომ მას არ ჩასვამენ ციხეში სხვის ნაცვლად, ვინაიდან ამ სახელმწიფოს მართავენ არა კორუმპირებული ჩინოვნიკები და თანამდებობის პირები, არამედ მკაფიო კანონები.

ბუნებრივია, რომ სამართლებრივი სახელმწიფო სულაც არ არის ყოველთვის იდეალურად დემოკრატიული, მაგალითად ასეთ სახელმწიფოში შეიძლება კანონით იყოს დაწესებული ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი რომელიმე ნორმა, მაგალითად

ფიზიკური სასჯელი, ასევე სადაც მაგალითად ისე ხშირად იცვლება კანონები და მოქალაქე ვერ ასწრებს მათ გააზრებას. ამიტომ ურთიერთობის წესების ჩამოყალიბებაც ძნელდება. ეს განსაკუთრებით ახლად შექმნილ დემოკრატიებზე ითქმის.

ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-7 მუხლში კანონის წინაშე თანასწორობის, კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ ნათქვამია:

„ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული კანონით. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან, რომელიც არღვევს ამ დეკლარაციას და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან".[25]

ქართული სამართლის ერთ-ერთ ძეგლში - სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, აღწერილია განაჩენის შედგენის წესი - „ვითარ ჟამს დაწერა განაჩენისა", სადაც აღნიშნულია, რომ მდივანბეგისაგან დაბეჭდილი სამართლის წიგნი სალაროში იყო ჩაბარებული. პროცესის დაწყებისას მდივანბეგი გამოიტანდა და გახსნიდა წიგნს. მდივანს წიგნი წინ ედო და კითხულობდა. განაჩენში უნდა აღნიშნულიყო, თუ რომელი მუხლის საფუძველზე იყო ის გამოტანილი. ამის აუცილებლობად სხვა მიზეზთა შორის ისიცაა აღნიშნული, რომ თუ მომჩივანი მოსამართლეს ქრთამის აღებაში ან არაობიექტურობაში დაადანაშაულებდა ამ წიგნს გახსნიდნენ და განაჩენის სისწორეს შეამოწმებდნენ. თუ მომჩივანი მართალი აღმოჩნდებოდა, მოსამართლეს მეფისაგან სასჯელი დაედებოდა.

„....და ვერც ეს მოსამართლენი, თუ არა ამ წიგნში წერებულს, სხვას მოგონებულს სამართალს ვერ გააჩენენ".[23]

მართალია, ამ ფორმულირების დემოკრატიულობის ხარისხი და სამართლებრივი დონე არ არის ადამიანის უფლებათა თანამედროვე დოკუმენტებში მოყვანილი ფორმულირებების იდენტური, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასში არის როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტები - არარსებულ სამართალს ვერავინ გააჩენს, ანუ ვერავინ მომისჯის სასჯელს, თუ ის კანონით არ არის დაწესებული, სასჯელის მისჯის უფლებაც მხოლოდ მოსამართლეს აქვს, ასევე, იმავე მიზეზით, კანონის უზენაესობის ელემენტებიც. რაც შეეხება

კანონის წინაშე თანასწორობას, ის არათუ იმდროინდელ საქართველოში, არამედ თანამედროვე მსოფლიოშიც ჯერ კიდევ „ოცნებად“ რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის პირველი ნახევარი მართლაც გასაოცარი ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. მეფე ვახტანგ მეექვსემ შეკრიბა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მატიანეების მცოდნე პირები, ერთად მოუყარა თავი საისტორიო მასალებს, შეავსო ძველი და შეასწორა. მანვე შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ნაშთები და ძეგლები და ქართული სამართლის „კოდიკო“ შეადგინა.

აქვე ქართული სახელმწიფო სამართლის ახალი წიგნი - „დასტურლამალი“ და სისხლის და სამოქალაქო სამართლის ძეგლი - „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ შექმნა. ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარის პროფესორ ი. დოლიძის სიტყვებით - **„ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული არის ჩვენი Corpus juris civilis და ჩვენს სჯულმდებელსაც სამართლიანად შეიძლება ქართველი იუსტინიანე ეწოდოს“.**

ვახტანგ მეექვსის გარდა სულხან-საბა ორბელიანიც ოცდაათი წლის განმავლობაში აგროვებდა მასალებს ქართული ლექსიკონისათვის. ამავე ხანაში ვახტანგ VI შვილმა ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა საქართველოს ისტორია და გასაოცარი გეოგრაფიული აღწერილობა, ხოლო ანტონ კათალიკოსმა ქართული გრამატიკა, მანვე შეაგროვა ცნობები ქართველი მოღვაწეების შესახებ.

მართლაც ენციკლოპედიური ხანა იყო და მრავალ სასიკეთო ძვრასა და განახლებას პირდებოდა ქვეყანას, პოლიტიკურ გარემოებებს და მტრების შემოსევას რომ არ დაებრკოლებინა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი მდგომარეობა, სამართლის საკითხებისადმი გამოჩენილი ინტერესი და შესაბამისი მაღალი სამართლებრივი დონეც ყველა ეპოქისათვის რიდი იყო დამახასიათებელი, სხვა მდგომარეობა იყო XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც, ვახტანგის სიტყვებით, მოსამართლენი *„ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიემე ღვთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამითა, ვითარცა ენებათ ეგრე ჰსჯიდენ“.*[8]

2.4. პიროვნების ხელშეუხებლობა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლი 3 ჩამოყალიბებულია :

„ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“.[25]

ეს კი მაგალითია ვახტანგ ბატონიშვილის სამართლიდან, მუხლი 95:

„თუ კაცმა თავისი ყმა ან მოკლას, ან გაახეიბროს, თუ დანაშაულზედ უქნია, მით ბატონისაგან და კათალიკოზისაგან საწყენის არი, ამიტომ რომე უხელმწიფოს კაცს თავისის ყმის სიკუდილი და გახეიბრება არავის ხელეწიფების, რომელიც მაგვარი სასიკუდილო და გასახეიბრებელი დანაშაული ქონდეს, ხელმწიფეს მოახსენოს და მისის დასტურით უყოს“.[3]

მართალია, ეს მუხლი არ კრძალავს სიკვდილით დასჯას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბატონის მიერ საკუთარი ყმის თვითნებური დასჯის წინააღმდეგ არის მიმართული. ვერ დასჯის ის, ვისაც არ ხელეწიფების, ანუ კომპეტენტური არ არის. ხელმწიფე ხომ სრულუფლებიანი ხელისუფლების მქონებელს ეწოდება, ანუ, როგორც თავად სიტყვა მიგვანიშნებს, ისეთ პირს ნიშნავს, ვისაც „ხელი“, ე.ი. უფლება „მწიფე“, ანუ სრული აქვს.

ბავშვის, ან მოზრდილის მოტაცება გამოსასყიდის, ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევადაა მიჩნეული.

აი, ციტატა ქართული სამართლის XVI საუკუნის საეკლესიო ძეგლიდან:

სამართალი კათალიკოზთა, მუხლი 1.11

„კაცის სყიდვისა ასე გავაჩინეთ:

რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩვენებული იყოს და განხდილი[6]....თუ მოიყუანოს, მისსა საყდარსა და ეპისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალ ედვას, დამკლებიცა უფალსაცა დაუურვოს.

და თუ ვერ მოიყუანოს, ვინ გინდა იყოს, თავადიშვილი უნდა აზნაურიშვილი, უნდა გლეხი, მაშინც ვერამ საქმემ ვერ იხსნას, უკანონოდცა არს, - ძელსა მიეცეს“.[7]

---

[6] განხდილი - მოკვეთილი, გაძევებული

[7] **ძელსა მიცემა** - ჩამოხრჩობა

კათალიკოსთა სამართალი 1543-1549 წლებში შეიქმნა. აღნიშნული კანონმდებლობის მოქმედების ასპარეზი თვით ძეგლში მითითებული არ არის, თუმცა ბოლოში დართული მღვდელმთავართა ხელმოწერები ცხადყოფს, რომ მიწაწყალი და მოსახლეობა, რომლისთვისაც ეს სამართლის წიგნი იყო განკუთვნილი შემოფარგლული უნდა ყოფილიყო იმერეთის სამეფოთი და სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრებით. იმ პერიოდისათვის დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. მეფემთავრები, რომლებმაც ვერ შესძლეს გაერთიანება ცდილობდნენ ცალ-ცალკე გარიგებოდნენ დამყრობლებს და საკუთარი უსაფრთხოების გარანტიები მიეღოთ. ამ ვითარებაში გახშირდა ადამიანის მოტაცება, ქურდობა და ყაჩაღობა. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო ტყვეების გაყიდვამ მოსაზღვრე ქვეყნების ბაზრებზე.

ოსმალების გარდა, რომლებისთვისაც ეს სოლიდური შემოსავლების წყარო გახდა ამ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული სამწუხაროდ ადგილობრივი ქართველი ფეოდალებიც. ფაქტიურად კითხვის ქვეშ დადგა თვით ქართული ფეოდალური საზოგადოების არსებობის საკითხი. პროგრესულმა პოლიტიკურმა და საეკლესიო მოღვაწეებმა საეკლესიო კრება მოიწვიეს „კათალიკოზთა სამართალი“ შეიმუშავეს და, ამასთან ერთად, საერო საკითხებსაც შეეხნენ. ამგვარად, ეკლესიამ საკუთარ თავზე აიღო სასჯელის დაწესება კაცის გატაცებისათვის, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ადამიანის უფლების დაცვაში ამ კუთხით მომდევნო წლებში და საბოლოოდ საქართველოში მონათა და ტყვეთა ყიდვა შეწყდა.

2.5. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება

ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, მუხლი 17.1

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად. არავის უნდა ჩამოერთვას მისი ქონება თვითნებურად“[26]

სამართლის მეცნიერებაში საკუთრების უფლებას განმარტავენ, როგორც ყოველი ფიზიკური თუ იურიდიულ პირის უფლებას, ფლობდეს და განკარგავდეს ქონებას. დაუშვებელია იმ ქონების თვითნებურად ჩამორთმევა, რომელიც მის საკუთრებაშია.

საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით კი, საკუთრების უფლების გაუქმება დაუშვებელია. საკუთრების უფლება სამი ელემენტისაგან შედგება: *მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა.*

საკუთრების საწყისს ქართულ სამართალში მოძრავი და უძრავი ქონება შეადგენდა. უძრავის მთავარი შემადგენელი იყო მიწა, რომელიც ორ შემადგენელ ნაწილად იყოფოდა: „მამულნი“ და „ადგილი უმამულონი და უმკვიდრონი“. IX-X საუკუნეების სამართლის ძეგლებში „მამული“ მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „მამული“ სხვადასხვა პირობებში და ეპოქაში სხვადასხვა გაგებით იხმარებოდა, იგი მაინც გამოხატავდა ფეოდალური საკუთრების ყველაზე გავრცელებულ ფორმას, მემკვიდრეობით მიწის საკუთრებაში გადაცემას. „ადგილი უმამულონი და უმკვიდრონი“ კი ნიშნავდა ისეთ მიწას, რომელსაც მემკვიდრეობითი მესაკუთრე არ ჰყავდა, ანუ არავის საკუთრებასა და მამულს არ შეადგენდა.

მიწის საკუთრება ფეოდალიზმის საფუძველი იყო. საინტერესოა ასევე ტერმინი *„აგარაკი“,* რომელიც წვრილ მიწის ნაჭერს ნიშნავდა, სასოფლო მიწების გარეთ იყო მოქცეული და ინდივიდუალური კერძო საკუთრების ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა.

სიმონ ჯანაშია სამეფო მემამულეობაში ორ შემადგენელ ნაწილს ასხვავებს: სამეფო დომენს, რომელიც შედგება „სამამასახლისო სამსახურებისაგან“ და დაპყრობილი ტერიტორიებისაგან და სამეფოს დანარჩენ მიწა-წყალს.

ამრიგად კერძო საკუთრებასთან მიმართებაშიც ქართული სამართლის ძეგლები მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა, რომელიც ძირითადად უძრავ ქონებას - მიწას ეხებოდა.....

სამემკვიდრეო სამართალი, როგორც ჩანს, საქართველოში იმ პერიოდში წარმოიშვა, როდესაც საგვარეულო სახლი ცალკეულ მცირე ნაწილებად დაიყო. ქართულ სამართალში ცნობილია, რომ მშობლები შვილებს წილს ასაკის მიხედვით აძლევდნენ. კერძოდ, უფროსს მეტი წილი ეკუთვნოდა და მას *„საუხუცესო“* ეწოდებოდა. წილი გაუთხოვარ ქალებსაც ეძლეოდათ. თუ ოჯახს მამრობითი სქესის მემკვიდრე არ ჰყავდა, მემკვიდრეობა ქალს რჩებოდა და მის შთამომავლობაზე გადადიოდა. თუკი ოჯახი საერთოდ უშვილოდ გადავიდოდა, ასეთი ოჯახის ქონება სახელმწიფო საკუთრებად რჩებოდა.

ქართულ სამემკვიდრეო სამართლისათვის ცნობილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი როგორიცაა ანდერძის მეშვეობით ქონების გადაცემა. ანდერძის ორი ფორმა არსებობდა: ზეპირი და წერილობითი. ორივე სახის ანდერძს ერთნაირი სამართლებრივი ძალა ჰქონდა. თუ საქმე დიდ ქონებას ეხებოდა, ანდერძი წესისა და კანონის მიხედვით უნდა შედგენილიყო. უნდა გამოცხადებულიყო მოანდერძის სრული ვინაობა, ანდერძის შედგენის მომენტში იგი „სულითა ცნობითა“ უნდა ყოფილიყო აღჭურვილი „სიმართლისა შინა ტანისა“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ანდერძის დამტოვებელი საღ გონებაზე იყო და არ იყო გრძნობა და ცნობამიხდილი, ანუ თანამედროვე სამართლებრივი ტერმინით რომ ვთქვათ, ქმედუნარიანი უნდა ყოფილიყო. თუ წერა შეეძლო, ანდერძი თავად უნდა შეედგინა, თუ არა - მის კარნახს მოწმეები ესწრებოდნენ და ანდერძის სისწორეს ხელის მოწერით ადასტურებდნენ. წერილობითი ანდერძი ხშირად სულიერ მოძღვარს გადაეცემოდა.

აი, ერთი მაგალითი ბატონიშვილი ვახტანგის სამართალიდან. მუხლი 233:

„თუ კაცმან მოკუდავმა, თავის ალალი საქონელი თავის სულს დააკლო და ვისაც უანდერძა მიეცემის. მამული თუ ნასყიდი აქვს ისიც მიეცემის. სხვა მამული მის პატრონზედ ჰკიდია“.[23]

ამგვარად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა რომ საქართველოში მემკვიდრეობითი სამართალი საკმაოდ განვითარებული და, ამასთან ერთად, ევროპულ ქვეყნებთან მიმსგავსებული ყოფილა, რაც გახლდათ გარანტია იმისა, რომ მემკვიდრე მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ქონების სრულფასოვანი მესაკუთრე ხდებოდა მოანდერძის გარდაცვალების შემდგომ.

2.6. ადამიანის პატივი და ღირსება, სასჯელის სახეები

ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, მუხლი 5

„არავის მიმართ არ უნდა იყოს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი“./25]

საქართველოს სამართლის ძეგლები სხვადასხვა ეპოქაში სასჯელის სხვადასხვა სახეებს იცნობს - ერთი შეხედვით მეტად ჰუმანურით დაწყებულსა და სასჯელის სასტიკი სახეებით დამთავრებულს. პირველის მაგალითია ბექა-აღბუღას სამართლის 62-ე მუხლი გატაცებული ქონების ანუ ნაპარავის შესახებ:

„ნაპარევისა პირველ ასრე გაჩენილა და ასრე იქნას აწ-ცა, რომე თუ ცხენი თუ რაგინდარა კაცმან მოიპაროს, თუ ხელთავე აქვდეს თავის ნაპარევი, იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა, და, თუ არა აქვდეს, აფიცოს საქონლის პატრონმან, როგორცა დაიფიცოს იგი მისცეს და ერთი ზომი სხვა“.[23]

ნამდვილად გამოირჩევა სასჯელის ეს ფორმა ჰუმანურობით, ვინაიდან არ ითვალისწინებს ფიზიკურ სასჯელს ან თავისუფლების ხელყოფას და მპარავისათვის მხოლოდ ზარალის ორმაგი საზღაურით კმაყოფილდება.

გაცილებით მკაცრი და სასტიკია კანონიკური სამართლის 168-ე მუხლი - *„რომელმანცა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თვალი დაეწუნენ და ანუ ხელ-ფეხი დაეჭრას. თუ საპატიჟო ადგილსა[8]. არა მოეპაროს, ვინ იყიდდეს, ვითაცა დააფასონ, ეგრე მიჰყიდონ და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცენ და კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავნ“.*[23]

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი არ ჯერდება ფიზიკური სასჯელის ისეთ სასტიკ ფორმებს, როგორიცაა თვალების ამოწვა და ხელ-ფეხის დაჭრა და დამატებით წყევლა-კრულვასაც არ აკლებს მპარავს. წყევლა-კრულვა და შეჩვენება განსაკუთრებულ სასჯელებს მიეკუთვნებოდა და საეკლესიო სასჯელების ყველაზე მძიმე ფორმად ითვლებოდა.

ეს მუხლი, როგორც ჩანს, გაცილებით ძველია, ვიდრე ბექას კანონი. თამარ მეფის მემატიანე ამბობს, რომ თვალთა დაწვა და ხელ-ფეხის მოჭრა განსაკუთრებით თამარის მეფის გამეფებამდე სცოდნიათ. თამარს კი ეს კანონები გაუუქმებია.[12]

ბაგრატ კურაპალატის სამართლის 152 მუხლში აღნიშნულია, რომ თვალთა დაწვა მხოლოდ საპატიჟო ადგილას მოპარვისათვის შეიძლებოდა მიესაჯათ, მაგრამ მემატიანე იქვე

---

[8] **საპატიჟო ადგილი** - *ბაგრატ კურაპალატის სამართალში განმარტებულია, თუ რა ითვლებოდა საპატიჟოდ - ან დიდი სალარო, ან ეკლესია, ან ჯოგი*

აღნიშნავს, რომ ასეთი სასჯელის დაწესებისთვის მეფის თანხმობა იყოო საჭირო. სწორედ ამ უფლებით სარგებლობდა თურმე თამარი და სასჯელს არ ამტკიცებდა.[1]

ბექა-აღბუღას სამართალი იცნობს ადამიანის პატივისა და ღირსების შემბღალავი სასჯელის სხვადასხვა სახეს. ისინი დამამცირებელი ხასიათისა იყო. ასე მაგ: „ჩათრევა“ - ქვედა საცვლის ამარა სანეხვეზე ჩათრევა. ცოლშვილიანი კაცის ქმარშვილიან ქალთან მრუშობისას - „გაშიშვლება და გააუპატივება“.

გვიანი საშუალო საუკუნეების იმერეთის სამეფოში ხშირად იყენებდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას - სიკვდილით დასჯას. სოლომონ I დროს *„ვინც გულში განზრახვით მოჰკლავდა კაცსა, მას დასწვავდნენ გროვა შეშაზე, ან ქუაბში ჩაკირამდენ, ან ცოცხალს დამარხავდნენ და ამის გარდა მკვდარის პატრონის სასარგებლოდ აზღვევინებდნენ ფულსა“.*[9]

სასჯელის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენდა *„ხელთა მიცემა»,* ანუ ბოროტმოქმედის დაზარალებული პირისათვის გადაცემა ადგილ-მამულით, აღნშნული აღწერილია ვახტანგ VI სამართლის წიგნში - ბექა-აღბუღას სამართალის მიხედვით [23]

ერეკლე მეფის დროინდელ კანონმდებლობაში ხშირად იხსენიება „ჯოხის დაკვრა“, როგორც სასჯელის სახე. ტერმინი „სასჯელიც“ ერეკლე მეორის დროინდელ ძეგლებში მკვიდრდება საბოლოოდ.

მიუხედავად ზოგიერთი ზემოთ მოყვანილი სასჯელის სისასტიკისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ქართული სისხლის სამართალი ევროპისა და რუსეთის იმდროინდელ სისხლის სამართალთან შედარებით გაცილებით ლმობიერი იყო. მისთვის უცხოა ბრალდებულის წამებით გამოტეხის ის საშინელი ხერხები და, აგრეთვე, სიკვდილით დასჯის შემზარავი სახეები, რომლებიც დაკანონებული იყო სხვა ქვეყნების სამართლის ძეგლებში

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „სამართალი კათალიკოზთა“ საერო საკითხებსაც შეეხებოდა. მათ შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ამ ძეგლის 23-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ვინც თავის კანონიერ ცოლს უმიზეზოდ გაეყრებოდა იგი უნდა დასჯილიყო სიკვდილით, თუმცა საქართველოში ამ ნორმის გამოყენების არც ერთი შემთხვევა დაფიქსირებულა.

„რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩვენებულიმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიჟოს“.[14]

ქალთა უფლებებთან მიმართებაში აღნიშნული ინფორმაციის განხილვისას გასათვალისწინებელია უპირველესად ის გარემოება თუ რომელ საუკუნეს ეკუთვნის ეს ძეგლი - ის XVI საუკუნეშია დაწერილი და ამ ეპოქაში ძნელად მოსაპოვებელია სხვა ქვეყნების სამართლაში საერთოდ იყოს ქალის თუნდაც ზოგად უფლებებზე საუბარი. ამ კონკრეტულ მუხლში საუბარია გათხოვილი ქალის კონკრეტულ უფლებაზე, მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენა ის გახლავთ, რომ სამართლებრივად ხდება ქალის თუნდაც ამ ერთი უფლების დაცვა და კანონმდებელი მამაკაცს სიკვდილსაც არ აკმარებს და შეჩვენებას უთვლის მას, რითაც მორწმუნეებს იმქვეყნადაც კი არ უტოვებს გადარჩენის შანსს.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე და ძველი ქართული სამართლის ძეგლების შედარებითი ანალიზი გვაძლევს სრულ საფუძველს იმისა, რომ თამამად ვთქვათ - ქართულ კულტურასა და ადამიანის უფლებებს შორის შორის კონფლიქტი არ არსებობს და ერთი მეორისათვის უცხო არ გახლავთ. რასაკვირველი ძველი ქართული სამართალი ზოგადად მკაცრი და იმპერატიულია სასჯელებთან მიმართებაში და დანაშაულის ცალკეული სახეები თანამედროვე ეპოქაში არ შეიძლება მივიჩნიოთ ამ ზომის სასჯელის ღირსად, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ რომელ ეპოქაშია ეს ძეგლები შექმნილი, მმართველობის რა ფორმებია, განვითარების რა ეტაპზე იყო მაშინ საქართველო. მნიშვნელოვანია ასევე ის რომ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა არამედ ზოგადად მეზობელი ცივილიზაციებიც რა დონეზე იყვნენ განვითარებული. ყველა გარემოება ერთად, კომპლექსურად ახდენდა ზეგავლენას ქართულ კულტურაზე და საზოგადოებრივი მოწყობის სისტემების ამგვარი აგებულება ხდიდა აუცილებელს მკაცრი სასჯელების არსებობისა. რათქმაუნდა ქართულ სამართალში შეინიშნება მეზობელი ცივილიციების გარკვეული ტიპის გავლენა, მაგრამ მაინც ქართული სამართლის ძეგლები საქართველში შექმნილი, დამოუკიდებელი ტიპისა და შინაარსის მქონე სისტემური ნიმუშებია, რომელიც მორგებული იყო ქართულ კულტურასა და საზოგადოების

განვითარებაზე. თვითეული ძეგლში აქტიურად დგას იმ ეპოქის პრობლემები და მისი მოგვარების გზები, რაზეც მაგალითათ წინა ან მომდევლო ძეგლებში არა არის ყურადღება გამახვილებული ან საერთოდ არ არის საუბარი.

ბავშვის უფლებებთან მიმართბაში ქართული სამართლის ძეგლებში მწირი ინფორმაციაა, მაგრამ იქ სადაც ადამიანის უფლებებია დაცული, რასაკვირველია ბავშვის უფლებების დარღვევებსაც ნაკლებად ექნებოდა ადგილი. ნახსენებია მხოლოდ ტყვეთა ყიდვის ნაწილში, რა დროსაც ხდებოდა ბავშვების გატაცება და ვნახეთ თუ რა მკაცრი სასჯელი იყო ამისათვის დაწესებული, რომლის ჩამოყალიბებაში, როგორც საერო, ასევე სასულიერო მხარეც აქტიურად იღებს მონაწილეობას.

ქართული სამართალი კომპლექსური შინაარსისაა, რომელშიც სახელმწიფო ინსტიტუციებთან ერთად მყარად დგას სასულიერო ინსტიტუციებიც და ეხმარება სახელმწიფოს სამართლებრივი საკითხების მოგვარებაში, რაც იმ პერიოდის ქართული საზოგადების ჩამოყალიბებისათვის უნიშვენლოვანესი გახლდათ. საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა, ამდენად სასულიერო კანონიკური ძეგლები, რომელიც ადამიანის უფლებებს, მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ეხებოდა უმნშვნელოვანესია ადამიანთა შორის ურთიერთობების დამყარებისათვის, ჯანსაღი საზოგადოების ფორმირებისათვის და რაც მთავარია უდიდესი გარანტორი იყო მშვიდობისა და მომრიგებლური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

თავი III ბავშვი და მისი ძირითადი უფლებების დაცვის სამართლებრივი სივრცე

ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. მეორე მსოფლიო ომმა მილიონობით უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის უამრავი ბავშვის. ათასობით გადარჩენილი მცირეწლოვანი თუ არასრულწლოვანი ბავში დარჩა მშობლების, ოჯახური გარემოს და სახლის გარეშე, რამაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დღის წესრიგში აქტიურად დააყენა საკითხი ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბებულიყო ბავშვთა დაცვის ფონდი, რომელიც უზუნვენყოფდა პირველ რიგში მშვიდობას მსოფლიოში და შემდგომ ბავშვთა სფეროში არსებული დარღვევების როგორც პრევენციას, ასევე მისი შედეგების შესაბამის პასუხისმგებლობას.

ბავშვთა უფლებების კონცეფცია ზოგადად ადამიანის უფლებების მოძრაობიდან განვითარდა. მის სრულყოფაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა უკანასკნელი 300 წლის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნებში არსებულმა სოციალურ, საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ სფეროებში განვითარებულმა მოვლენებმა.

მსოფლიო საზოგადოება ბავშვთა მდგომარეობის დარეგულირებისა და სამართლებრივი სივრცის შექმნით პირველად 1923 წელს დაინტერესდა. ამ პერიოდისათვის არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვების საერთაშორისო კავშირმა", რომელიც ახლადდაარსებული იყო მიიღო ჟენევის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი ბავშვთა უფლებების დეკლარაცია. დეკლარაცია ხუთი მუხლისაგან შედგებოდა. 1924 წელს ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეამ ბავშვის უფლებათა ჟენევის დეკლარაცია დაამტკიცა.

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაციის გავრცობილი ვერსია და 1959 წელს კი ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის შესახებ ახალი დეკლარაცია, რომელიც ათ ძირითად პრინციპს შეიცავდა.

ბავშვის უფლებების შინაარსის მქონე კონკრეტული დებულებანი შესულია ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ თუ ჰუმანიტარული სამართლის სხვადასხვა დოკუმენტში. რიგმა სახელმწიფოებმა, გარდა ამისა, საჭიროდ მიიჩნიეს შექმნილიყო კიდევ უფრო სრულყოფილი დოკუმენტი ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობით იქნებოდა განმტკიცებული და შექმნიდა უფრო მყარ გარანტიას ბავშვთა დაცვის კუთხით

ამგვარი მოსაზრების სისწორეს ადასტურებდა უამრავი მასალა, რომელიც მეტყველებდა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ბავშვთა მიმართ ჩადენილ ძალადობაზე და უსამართლობაზე, საბაზისო განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობებზე, ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი დონეზე, აგრეთვე პრობლემებზე ბავშვთა სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. არსებობდა შემაშფოთებელი მონაცემები ბავშვთა ექსპლუატაციის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა მაგალითად მუშაობა მძიმე შრომით პირობებში, ასევე საპატიმროებში მყოფი, ლტოლვილი და საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ბავშვების შესახებ.

1979 წელს, რომელიც ბავშვთა საერთაშორისო წლად აღიარდა, გაეროს კომისიამ ადამიანის უფლებების თაობაზე, პოლონეთის მთავრობისაგან მიღებული წინადადების საფუძველზე, დაიწყო ახალი იურიდიული დოკუმენტის პროექტზე მუშაობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული სააგენტოები, აქტიურად მონაწილეობდნენ პროექტის განხილვის პროცესში.

მონაწილე სახელმწიფოთა მიერ „ბავშვის უფლებათა კონვენციის" რატიფიცირებასა და საგანგებო კომიტეტის შექმნას კონვენციის მონიტორინგის განსახორციელებლად, სათავე დაუდო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ კონვენციის მიღებამ. 1990 წელს კონვენციას ოცმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, ამის სემდგომ იგი ოფიციალურ ძალაში შევიდა. დღეისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.

ყოველივე ეს იძლევა საკმაო საფუძველს "ბავშვის უფლებათა კონვენცია" ყველა იმ ხელშეკრულებებს შორის, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება, ყველზე აღიარებულ დოკუმენტად მივიჩნიოთ.

აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა და ამით აიღო კონვენციის შესრულების ვალდებულება. ასევე რატიფიკაციის[9] შემდგომ როგორც თითოეული სახელმწიფო საქართველოც გახდა კონვენციის მონაწილე და აიღო ვალდებულება ეროვნული კანონმდებლობის გადასინჯვისა, რაც მის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის ემსახურებოდა და ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს კონვენციის განხორციელებას ქვეყანაში. ამ პროცესს თვალყურს ადევნებს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან მონაწილე სახელმწიფოთა მიერ. მონაწილე სახელწიფოები ვალდებულნი არიან გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს წარუდგინონ ანგარიში ქვეყანაში კონვენციის განხორციელების შესახებ რატიფიცირებიდან ორი და ყოველი მომდევნო ხუთი წლის შემდეგ. ეს ანგარიში, ისევე როგორც თავად კონვენცია, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობისათვის. მისი საფუძვლიანი განხილვის შემდეგ კომიტეტმა შეიძლება სხვადასხვაგვარი ქმედება განახორციელოს:

- ✓ მან შესაძლოა მოსთხოვოს სახელმწიფოს წარდგენილი ანგარიშის განვრცობა;
- ✓ შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს როგორც კონკრეტული სახელმწიფოს მთავრობას, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას, სხვა მონაწილე სახელმწიფოებს;
- ✓ ტექნიკური თუ ფინანსური დახმარების თაობაზე წარუდგინოს თხოვნა.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი ინფორმაციას მოიპოვებს ასევე მონაწილე სახელმწიფოებში განხორციელებული ვიზიტების მეშვეობით. კომიტეტისათვის თითოეული სახელმწიფოს მიერ კონვენციის რეალიზებაში მიღწეული პროგრესის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა ეთხოვოთ სპეციალიზებულ სააგენტოებს, როგორიცაა გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF).

---

[9] **რატიფიკაცია** – სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება, რომელიც ხელმოწერილია ამ სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ, რაც ხელშეკრულებას აძლევს იურიდიულ ძალას;

აწესებს რა საერთო სტანდარტებს "ბავშვის უფლებათა კონვენცია", ყველა ქვეყნისთვის, ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოთათვის დამახასიათებელ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობებს, რათა თითოეულ ქვეყანას შესაძლებლობა ჰქონდეს ოპტიმალურად განახორციელოს კონვენციის დებულებები.

კონვენცია ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ამ კონვენციის ეროვნულ დონეზე რეალურად განხორციელებისათვის. კერძოდ, კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე (მუხლი 2); ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას (მუხლი 3); ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლება (მუხლი 6); ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება ბავშვს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი შეხედულებები (მუხლი 12).

კონვენციაში წარმოდგენილი ძირითადი უფლებები შესაძლოა ზოგადად ოთხ კატეგორიად გაერთიანდეს:

✓ **სიცოცხლე** – ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება;

✓ **განვითარება** - ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალობის განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება...

✓ **დაცვა** - ბავშვებს აქვთ უფლება დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სახის შეზღუდვებისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისაგან...

✓ **მონაწილეობა** - ბავშვებს აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებანი და მიიღონ სასურველი ინფორმაცია...

ფართო აღიარებას ბავშვის უფლებებისა მხოლოდ თეორიული საფუძველი არ აქვს. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებათა პრიორიტეტულობა განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ თუ აღმასრულებელ სფეროში.

“ბავშვის უფლებათა კონვენცია” კიდევ ერთხელ ადასტურებს მსოფლიოს მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარებისა და უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის უმოკლესი გზაა.

ამრიგად, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ბავშვის განვითარების ახლებური კონცეფცია ფორმირდება, რომლის შედეგად ბავშვის დაუცველობის საკითხებიდან აქცენტის გადატანა მოხერხდა მისი დამოუკიდებლობის, უფლებაუნარიანობის, თვითგამორკვევისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თემებზე ტრადიციული პატერნალისტური[10] შეხედულებების საწინააღმდეგოდ, რომ ბავშვი მხოლოდ მშობლების კონტროლის ობიექტს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე თვითეული სახელმწიფოს მოვალეობად უნდა ქცეულიყო ბავშვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა გაენაწილებინა მშობელთან ერთად და ამ ფარგლებში თვით ბავშვსაც (გარკვეული ასაკიდან) ჰქონოდა მცირედი, მაგრამ მაინც მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების უფლება – მისი აზრის გამოთქმის თავისუფლება, მისი არჩევანის თავისუფლება და ა.შ.

[10] **პატერნალიზმი** – სოციალური პარტნიორობის, ქველმოქმედების, საზოგადოების სოციალურად ნაკლებად დაცულ ნაწილზე ზრუნვის თეორია, პოლიტიკა და პრაქტიკა. მას განვითარებულ ქვეყნებში ადამიანური ურთიერთობების დოქტრინის ფარგლებში გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. იგი მიზნად ისახავდა კონფლიქტურ საზოგადოებებში, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობების დაძლევას

თავი IV ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია და საქართველოს საკანონმდებლო სივრცე

“ბავშვის უფლებათა კონვენცია”, რომელსაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს ერთხმად დაუჭირა მხარი, მსოფლიო მასშტაბის იურიდიული დოკუმენტია. 54 მუხლისაგან შემდგარი კონვენცია, მოიცავს როგორც პოლიტიკურ ასევე სამოქალაქო უფლებებს, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც. კონვენციას ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უჭირავს ადამიანთა უფლებების თემატიკაზე შექმნილ ყველა დოკუმენტთა შორის.

ბავშვის უფლებათა კონვენცია არის ადამიანის უფლებათა კონვენციის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც მისი შინაარსის აქტუალობიდან გამომდინარე ცალკე კონვენციად ჩამოყალიბდა. კონვენციის პრეამბულაში მითითებულია:

„ ...ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა ბავშვთა უფლება, განსაკუთრებული

მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი, დარწმუნებული არიან რა, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებელად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი, აღიარებენ რა, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული იდეალების სესაბამისად აღისაზრდოს, განსაკუთრებით კი მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით….“[4]

პრეამბულაში ასევე ჩამოთვლილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ხელშეკრულებებისა და დეკლარაციების კონკრეტული დებულებები. პრეამბულა ადასტურებს, რომ ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და მზრუნველობა და ამ მიზნით როგორც დავინახეთ ყურადღებას ამახვილებს ბავშვის მიმართ ოჯახის განსაკუთრებულ ზრუნვასა და პასუხისმგებლობაზე. პრეამბულა ასევე ადასტურებს ბავშვის დაცვის სამართლებრივი თუ სხვა სახის მექანიზმის უზრუნველყოფის აუცილებლობას, **როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ,** იმ საზოგადოების კულტურული ღირებულებებისადმი პატივისცემას, რომელშიც ბავშვი იზრდება, და ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას.

კონვენციის თანახმად ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანების მიღწევას უფრო მცირე ასაკში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.[15] ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

ტერმინთა განმარტებაში არასრულწლოვანია პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია.[16]

კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. თვითეული სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან და მიიღოს ყველა ზომა მისი უფლებების დასაცავად.

ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის შესაბამისი დაცვა და მისი ჭეშმარიტი ინტერესების რეალიზება თუ ბავშვის მშობლები ან ის პირები, რომელთაც მისი დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. შესაბამისად ამისა საქართველო სამოქალაქო კოდექსის ის კონკრეტული მუხლები, რომლებიც ეხება ბავშვის უფლებებსა და ინტერესებს გამოდიან კონვენციის პრინციპებიდან და მაქსიმალური სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს თვლიან ბავშვთა დაცვის თვალსაზრისით იქნება ეს მშობელთა ვალდებულებები, განქორწინება, მზრუნველობა დაკარგული ბავშვის მდგომარეობა თუ სხვა.

ნებისმიერი სახელმწიფო კონვენციის თანახმად, ვალდებულია პატივი სცეს მშობლებისა და იმ პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბავშვის აღზრდასთან მისი მზარდი შესაძლებლობების გამოვლენის სხვადასხვა ეტაპზე. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის ჯანსაღი განვითარება და სიცოცხლის შენარჩუნება, რადგან ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება და აღნიშნული მუხლით თვითეულ სახელმწიფოს ვალდებულებაა შექმნას ყველა ის სამედიცინო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის ჯანმრთელ მომავალსა და განვითარებას.

ყველა ბავშვს დაბადებისთანავე გააჩნია უფლება ჰქონდეს სახელი. ბავშვს ასევე აქვს უფლება მიიღოს მოქალაქეობა და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იცნობდეს თავის მშობლებს და მათი მზრუნველობით იყოს გარემოსილი. სახელმწიფო კი თავის მხრივ, ვალდებულია დაიცვას ბავშვის ინდივიდუალობა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში

უზრუნველყოს ბავშვის ინდივიდუალობის ძირითადი ასპექტების აღდგენა, სახელის, მოქალაქეობისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს (მუხლი 17) [15]

ბავშვს უფლება აქვს იცხოვროს თავის მშობლებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს. ბავშვს ასევე აქვს უფლება შეინარჩუნოს პირადი ურთიერთობა ორივე მშობელთან, ერთერთ მათგანთან თუ ორივესთან განცალკევების შემთხვევაში.

სამოქალაქო კოდექსის მესამე კარის თანახმად **„შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება იზრდებოდეს და ცხოვრობდეს ოჯახში“** - მუხლი 1197. აქვე მომდევნო მუხლში მკაფიოდაა განმარტებული **„მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი გონებრივი, ფიზიკური სოციალური და სულიერი განვითარებისათვის, ისინი აღზარდონ საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით“** - მუხლი 1198

კონკრეტული პირობების არსებობის შემთხვევაში, მაგალითად ოჯახის გამთლიანების ან ბავშვსა და მშობლებს შორის პირადი ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით ბავშვთა დაცვის კონვენცია უშვებს შესაძლებლობას ბავშვებმა და მშობლებმა დატოვონ ნებისმიერი სახელმწიფო და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. თუ აღნიშნული ქმედება შეიცავს ბოროტ განზრახვას, მაშინ სახელმწიფო თავის მხრივ ვალდებულია მიიღოს შესაბამისი აღმკვეთი ზომები ერთ-ერთი მშობლის ან მესამე პირების მიერ ბავშვის მოტაცებისა და საზღვარგარეთ დაკავების წინააღმდეგ.

ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი და შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ამ შეხედულებებს ანგარიში უნდა გაეწიოს ბავშვის ბედთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას. ბავშვს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, საზღვრების არსებობის მიუხედავად. სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს **ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს**

აზრისა და სინდისის თავისუფლებით, მშობლების მხრიდან შესაბამისი ხელმძღვანელობის გათვალისწინებით.

ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული ოჯახური და პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობით ან საიდუმლოების შენახვის უფლებათა განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფისაგან. ინფორმაციის მისაწვდომობა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვისათვის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობა, წაახალისოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელება, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, და მიიღოს ზომები იმ სახის ინფორმაციისაგან ბავშვის დასაცავად, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის.

მშობლები ერთობლივად აგებენ პასუხს ბავშვის აღზრდაზე და ამ მხრივ ისინი სახელმწიფოს მხარდაჭერით უნდა სარგებლობდნენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად **„..მშობლებიდა ვალდებული უფლებამოსილი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი გონებრივი, ფიზიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით... მშობლებს შვილის რჩენის ვალდებულება აკისრიათ, ასევე ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები“** მუხლი 1198

მშობლებს ბავშვების აღზრდაში უნდა დაეხმაროს სახელმწიფო ეს პირდაპირი ვალდებულებაა. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი მშობლების, კანონიერი მეურვეებისა და ბავშვზე მზრუნველი სხვა პირის მხრიდან ნებისმიერი სახის ძალადობისა და უხეში მოქცევისაგან და შექმნას შესაბამისი სოციალური პროგრამები ძალადობის აღკვეთისა და დაზარალებულთა მკურნალობის მიზნით. საქართველომ, შეუერთდა რა ამ საერთაშორისო აქტს, მოახდინა კონვენციის აღნიშნული მუხლის პირდაპირ ინკორპორირება სამოქალაქო კოდექსში **„დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ისეთი აღზრდის მეთოდების გამოყენება,**

რომლებიც არასრულწლოვნის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ტანჯვას იწვევს.“ 1198-ე მუხლის 1[1] ნაწილი.

ბავშვი, რომელიც მოკლებულია ოჯახურ გარემოს სახელმწიფოა ვალდებულია აიღოს თავის თავზე მისი განსაკუთრებულად დაიცვა და შეუქმნას მას მშობლიური გარემოს ტოლფასი ალტერნატიული გარემო ან მოათავსოს შესაბამის დაწესებულებაში. აღნიშნულ ვალდებულებათა განხორციელებისას აუცილებელია ბავშვის კულტურული კუთვნილების გათვალისწინება. სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია ან ნებადართულია შვილად აყვანა, გაშვილება უნდა მოხდეს ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესთა გათვალისწინებითა და კომპეტენტური ორგანოების ნებართვით, ბავშვის კეთილდღეობის მყარი გარანტიების არსებობის შემთხვევაში.

საქართველოში ბავშვი, რომელიც მოკლებულია ოჯახურ გარემოს სახელმწიფო იღებს მასზე ზრუნვის ვალდებულებას. რაც შეეხება შვილად აყვანას ამ საკითხებს არეგულირებს ცალკე კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებას შვილად აყვანისას და მინდობით აღზრდისას, ასევე მის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელებას და.

საქართველოში შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ,მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“ და კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ჰააგის კონვენცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები. თვით გაშვილების პროცესის პროცედურულ საკითხებს უზრუნველყოფს ტერიტორიული ერთეულების მიხედვით არსებული მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები.

აღნიშნული კანონის თანახმად, შვილად აყვანას ექვემდებარება ბავშვი, რომელსაც მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში. გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება ბავშვს:

- ✓ რომლის მშობელი ან/და მშობლები სასამართლომ აღიარა უგზოუკვლოდ და დაკარგულად;
- ✓ რომელიც არის ობოლი;
- ✓ რომელიც სასამართლომ აღიარა მიტოვებულად;
- ✓ რომლის მშობელს ან/და მშობლებს სასამართლომ მშობლის უფლება ჩამოართვა;
- ✓ რომლის ყველა კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას აცხადებს მის გაშვილებაზე;

დაუშვებელია ბავშვის მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის გარეშე გაშვილება. მშობელმა (მშობლებმა) ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა უნდა დაადასტუროს სპეციალური ფორმით, რომელსაც ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი. ბავშვის მშობლის (მშობლების) თანხმობის გარეშე გაშვილება დასაშვებია ზემოთჩამოთვლილი შემთხვევებში

იმ შემთხვევაში თუ ხდება 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის შვილად აყვანა აუცილებელია მისი წერილობითი ინფორმირებული თანხმობა, ხოლო რაც სეეხება 10 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი.[17]

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად სახელმწიფომ განსაკუთრებული მფარველობა და მზრუნველობა უნდა გაუწიოს ლტოლვილ და ლტოლვილის სტატუსის მიღების მოსურნე ბავშვებს. სახელმწიფო ვალდებულია ითანამშრომლოს კომპეტენტურ ორგანიზაციებთან, რომლებიც მოწოდებული არიან ამგვარი დაცვის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება უნარშეზღუდულ ბავშვს უფლება აქვს სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით, მიიღოს განსაკუთრებული განათლება და მომზადება, რათა შეძლოს სრულფასოვნად და ღირსეულად ცხოვრება ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას და სოციალურ ინტეგრაციას.

ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს სრულყოფილი, მაღალპროფესიონალური სამედიცინო დახმარებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს რეალურად შესაძლებელ უმაღლეს სტანდარტებს. სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ბავშვის პირველადი და პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებით, სამედიცინო განათლებით უზრუნველყოფაზე და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაზე. ამ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მოცემულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და მიიღოს ყველა ზომა, რათა არც ერთი ბავშვი არ იყოს მოკლებული შესაბამის სამედიცინო მომსახურებას.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N601 დადგენილებით დამტკიცდა **„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა“,** რომელიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ, ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ და იმ ბავშვთა მიმართ, რომლებიც მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ იმყოფებიან ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა, რომელის ამოცანაა სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება. ბიუჯეტი **1 800 000 ლარი;**

2. ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის მქონე ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, ასევე სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია. ბიუჯეტი **1 610 190 ლარი;**

3. ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა, რომლის ამოცანებია სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკური რეაბილიტაცია, აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის

გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ბიუჯეტი **2 305 840 ლარი**

4. ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა სამიზნე ჯგუფის პირთა სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო მომსახურებების გაწევა. ბიუჯეტი **15 000 ლარი**

5. დღის ცენტრების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია. ბიუჯეტი **3 583 000 ლარი**

6. ქვეპროგრამა, რომელიც დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ხასიათს ატარებს, მისი ამოცანაა ძირითადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. კერძოდ ის აერთიანებს, სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტს, საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტს, სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტს, ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტებს. სმენადაქვეითებულთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა. ბიუჯეტი ჯამში **4 596 800 ლარი;**

7. დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება. ბიუჯეტი **400 000 ლარი;**

8. მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა. ამოცანა - მზრუნველობამოკლებული ბავშვების მიმღებ ოჯახებში განთავსების გზით ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა. ბიუჯეტი **7 735 425 ლარი;**

9. მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა მზრუნველობამოკლებული ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდა. ბიუჯეტი **2 238 175 ლარი;**

10. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა მიუსაფარ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია. ბიუჯეტი **748 400 ლარი**

11. სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა სამიზნე ჯგუფისათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და სოციალური ინტეგრაცია. ბიუჯეტი **1 417 390 ლარი**

12. ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ღრმა და მძიმე გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის. ქვეპროგრამის ამოცანაა ღრმა და მძიმე გონებრივი შეფერხების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია და ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ბინაზე მოვლის მომსახურების მიწოდებით. ბიუჯეტი **145 300 ლარი**

13. ღრმა და მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან ჯანმრთელობის პრობლემებიანი ბავშვების სპეციალიალური საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ამოცანაა მზრუნველობამოკლებული მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში მოვლა და აღზრდა. ბიუჯეტი **133 400 ლარი;**

აღნიშნული პროგრამების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნება. ქვეპროგრამების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ბავშვები, მიუსაფარი/ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.აღნიშნული პროგრამებით მოსარგებლეები ასევე არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები.[18]

დადგენილება კონკრეტულად თვითეულ პროგრამას განმარტავს დეტალურად და განსაზღვრავს, როგორც მის საბიუჯეტო მოცულობას, ასევე მისი შესრულების წესებსა და პირობებს. საბიუჯეტო ასიგნენბებიდან საერთო ჯამში 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის

ჩათვლით განსახორციელებელ ყველა პროგრამაზე ჯამში გამოყოფილი იყო **26 728 920 ლარი.** ქვეპროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი სააგენტო.

ჯანმრთელობის დაცვისა ბავშვს, რომელიც სახელმწიფოს მიერ გამწესებულია სამეურვეოდ მისი მოვლის, დაცვისა თუ მკურნალობის მიზნით, უფლება აქვს პერიოდულად მოხდეს ასეთ მეურვეობასთან დაკავშირებული პირობების შეფასება.

ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, სოციალური დაზღვევის ჩათვლით. ცხოვრების სათანადო დონე ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისათვის. მშობლებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ბავშვს შეექმნას ცხოვრების სათანადო დონე. სახელმწიფო, თავის მხრივ, ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ამ პასუხისმგებლობის რეალიზაციისათვის. სახელმწიფოს ვალდებულება შესაძლოა ითვალისწინებდეს მშობლებისა და მათი შვილების მატერიალურ დახმარებას.

ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება და სახელმწიფო ვალდებულია ამ უფლების რეალიზაციისათვის უზრუნველყოს უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება, საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმის და შესაძლებლობათა გათვალისწინებით, უმაღლესი განათლების ყველა ბავშვისათვის ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მოცემულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

კონვენციის თანახმად, განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, მისი ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისაკენ. განათლებამ უნდა მოამზადოს ბავშვი თავისუფალ საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისათვის, ჩაუნერგოს მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა, ასევე სხვათა კულტურული ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა.

ბავშვს, რომელიც განეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას, უფლება აქვს ეზიაროს საკუთარ კულტურას, აღიაროს თავისი რელიგია და ისარგებლოს

დედაენით. ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს თავისუფალი დროით, აქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს ბავშვის ჯანმრთელობისათვის ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული, ასევე სამუშაოებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის ბავშვის განათლების მიღებაის და ზოგადად განვითარებას. სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომით პირობებთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად „ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან“. აღნიშნული მუხლი ასევე განმარტავს:

„16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ფიზიკურ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს ბავშვს სავალდებულო საბაზისო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართ ძალაში რჩება კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად. .

არასრულწლოვანთან, კერძოდ 14 წლამდე ასაკის, შრომითი ხელშეკრულება შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნებასთან დაკავშირებულ, სპორტულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე დაიდოს, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად აკრძალულია ისევე როგორც არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება.[19]

ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გამოყენებისაგან, ასევე ამგვარ ნივთიერებათა წარმოებასა და გავრცელებაში მონაწილეობისაგან. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისაგან და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის ჩათვლით.

სახელმწიფოს მოვალეობაა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვების მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა და მათი კონტრაბანდა.სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი ყველა სახის ექსპლუატაციისაგან, რომელიც ემუქრება ბავშვის კეთილდღეობას და რომელიც არ არის აღნიშნული კონვენციის დეტალურ მუხლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არასრულწლოვანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის, ან არასრულწლოვანის ფიზიკური ექსპლუატაციის შემთხვევებში დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი ორი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე. ხოლო თუ ზემოთ ჩამოთვლილმა შემთხვევბმა გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება ვადით 17–დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, საქმიანობის უფლების ან თანამდებობის დაკავების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით. აქვე მითითებულია, თუ აღნშნული ქმედება ჩადენილია იურიდიული პირის მიერ, მაშინ იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.[20]

არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს წამების, სასტიკი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი, უკანონო დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის ობიექტი. სიკვდილით დასჯა, სამუდამო პატიმრობა, რომელიც განთავისუფლების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს.

თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს სამართლებრივი ან სხვა სახის დახმარება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ XXIV თავი, მთლიანად მიძღვნილია იმ ტიპის დანაშაულზე, რომელიც მიმართულია ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ და ითვალისწინებს საკმაოდ მკაცრი სასჯელის ზომებს.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები უნდა იღებდნენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიუღწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში. 15 წლის ასაკს მიუღწეველი არც ერთი ბავშვი არ შეიძლება გაიწვიონ შეიარაღებულ ძალებში. მონაწილე სახელმწიფოები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაშე მოვალენი არიან თავისი ვალდებულებების შესაბამისად, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო ვალდებულია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის, წამებისა თუ სხვაგვარი ძალადობის, ცუდი მოპყრობისა თუ ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვი უზრუნველყოს შესაბამისი მკურნალობით მისი გამოჯანმრთელებისა და სოციალური ინტეგრაციის მიზნით.

ბავშვს, რომელმაც კანონი დაარღვია, უფლება აქვს მოექცნენ იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს მისი ღირსების გრძნობის გაძლიერებას, გათვალისწინებული იქნეს ბავშვის ასაკი და მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება მიმართული იყოს საზოგადოებაში მისი ინტეგრირებისაკენ.

ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს მთელი რიგი გარანტიებით, ასევე სამართლებრივი და სხვა სახის დახმარებით დაცვის დროს. არასრულწლოვანებთან მიმართებაში შეძლებისამებრ თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო განხილვა და თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებათა განხორციელება. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობით ან ამ სახელმწიფოში მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულია ნორმები, რომლებიც უფრო მეტად უწყობენ ხელს ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას მოცემულ კონვენციასთან შედარებით, გამოიყენება სწორედ ის ნორმები, რომლებიც უკეთ გამოხატავს და იცავს ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

კონვენციის ძირითადი დებულებებია [5]:

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია ფართოდ გააცნოს როგორც უფროსებს, ისე ბავშვებს მოცემული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

2. კონვენციის თანახმად იქმნება სპეციალური ორგანო - ბავშვის უფლებების კომიტეტი ათი ექსპერტის შემადგენლობით, რომელიც განიხილავს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ ანგარიშებს კონვენციის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის თაობაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყონ თავიანთ მოხსენებათა ფართო საჯაროობა.

4. კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ ცალკულ საკითხთა შესასწავლად საგანგებო კვლევათა ჩატარება და მოპოვებულ მასალათა გაცნობა დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისათვის.

5. კონვენციის განხორციელებისათვის ეფექტური ხელშეწყობისა და წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით სპეციალიზებულ დაწესებულებებს, როგორებიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNISEF), უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის სხდომებში.

თავი V საქართველოს სოციალური სააგენტოს მუშაობის სტატისტიკა სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ბავშვის მიმართ

სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამას. (დანართი N1) სააგენტო განსაკუთრებულად გამოყოფს პროგრამებს, რომლებიც ზოგადად მიმართულია ბავშვის უფლებების დაცვისაკენ, რომელიც კონკრეტულად მოიცავს ბავშვის ზოგადი ინტერესების დაცვას. ხელშეწყობას, აღიზარდონ სრულფასოვან ოჯახურ გარემოში და სრულყოფილად იყვენენ ინტეგრირებულნი საზოგადოებაში, ეს პროგრამები აგრეთვე უზრუნველყოფენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სამედიცინო დაწესებულებების თანამედროვე სტარდარტებთან შესაბამისობას, განსაკუთრებით მზურველობამოკლებული ბავშვების სოციალურ დახმარებას, საამისოდ სახელმწიფოში სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრები იხსნება..

სააგენტო მრავალმილიონიანი ხარჯების განმკარგავი სამსახურია, რომელიც მიმართულია ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო პროგრამებით მაქსიმალური უზრუნველყოფისკენ, ასევე მრავალფეროვანი მომსახურებისა თუ დახმარების საჭიროების მქონე კონტინგენტის - ბენეფიციართა - სოციალური გასაცემლებით. ბეცეფიციარი საქართველოს კანონის „სოციალური დახმარების შესახებ“ მე–4 მუხლის მიხედვით არის სოციალური დახმარების მიმღები პირი.[21]

სოციალური სააგენტო უზრუნველყოფს სახელმწიფო პენსიის, როგორც ასაკობრივ ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური სტატუსის მიხედვით, სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაზღვევის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სათანადო უზრუნველყოფის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მეურვეობა-მზრუნველობის განხორციელებას რომლის ფარგლებშიც სააგენტოში დასაქმებული 2000-ზე მეტი თანამშრომელი დაახლოებით 2,5 მილიონ საქართველოს მოქალაქეს (საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი) ემსახურება.

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები 68 მისამართზეა განთავსებული. (იხ.ცხრილი N1) მაგალითად აჭარის მაშტაბით 6 სააგენტოა: ბათუმში, ქობულეთში, ხელვაჩაურში, ქედში, შუახევსა და ხულოში. ისინი ყოველთვიურად უწევენ შესაბამის მომსახურებას საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის თითქმის მესამედს. საქართველოს მოქალაქეთა 25%-ზე მეტს სააგენტო უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო დაზღვევით, რაც ბენეფიციართა სახელმწიფო დაფინანსებით სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას ნიშნავს.

სოციალური მომსახურების სააგენტო ასევე მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებსა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს სხვადასხვა პრივილეგიებს, შეღავათებსა და საჭირო მომსახურებას სთავაზობს, მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითადი მიზანია მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის

ამაღლება, სერვისების დახვეწა, უფრო მოქნილ, მარტივ და სწრაფ, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ მექანიზმებზე გადაყვანა.

სახელმწიფოს მთავარი მიზანია თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს თავი ღირსეულად და მიიღოს შესაბამისი სტრუქტურებიდან სამართლიანი მომსახურება. ასევე მნიშვნელოვანია თვითეულმა მოქალაქემ იცოდეს აღნიშნული პროგრამების შესახებ და შეძლოს მათი გამოყენება, ამისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი ქვედანაყოფები ეწევიან სხვადსხვა სახის აქტივობებს. ერთ–ერთი მნიშვნელოვანია, ის რომ სააგენტოს ჰყავს სოციალური აგენტი – სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც ახდენს მაძიებელი ოჯახების იდენტიფიკაციასა და სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის აღწერას, ასევე ახდენს მოსახლეობას ინფორმირებას საინფორმაციო ბუკლეტების სახით, რომელშიც ასახულია ყველა იმ პროგრამების შესახებ ინფორმაცია რასაც ახორციელებს სახელმწიფო და შესაბამისად ინდივიდმა მიიღოს მისთვის საჭირო და აუცილებელი მომსახურება სააგენტოსგან.

სოციალური მომსახურების სააგენტო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირდაპირ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის საქმიანობაც რეგულირებულია მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის **№01-14/ნ ბრძანებით.**

საკითხის უკეთ წარმოდგენისათვის, განვიხილოთ სოციულური სააგენტოს მიერ 2018 წელს განხორციელებული პროგრამების სტატისტიკური მონაცემები.

სოციალური სააგენტო როგორც ზემოთ ავღნიშნეთ რამოდენიმე პროგრამას ახორციელებს, მაგრამ ჩვენი თემატიკიდან გამომდინარე განვიხილოთ ბავშთა (18 წლამდე) მიმართ განხორციელებული პროგრამების სტატისტიკა. სოციალური დახმარების ეფექტიანობისა და მიზანმიმართულების გაზრდის, ასევე თანამედროვე გამოცდილების დანერგვის მიზნით, შეიქმნა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა". აღნშნული ბაზა გამოიყენება, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სოციალური დახმარების უზრუნველმყოფი სხვა

ორგანიზაციების მიერ, სოციალური დახმარების დასაგეგმად საჭირო ინფორმაციის სწრაფი მოძიებისა და სოციალური დახმარების პროგრამების მონაწილეთა შერჩევისათვის.

აღნიშნული მონაცემთა ბაზის მიხედვით საქართველოში 135 700 ოჯახია, რომელიც რეგისტრირებულია საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებად, მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ის შეადგენს 467 282 ადამიანს. (ცხრილი N2) მათ შორის ასაკობრივ ჭრილში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე საარსებო შემწეობის მიმღები 16 წლამდე პირების რაოდენობა შეადგენს 142 811. (ცხრილი N3)

სოციალური მომსახურების სააგენტოს ერთ–ერთ პროგრამას წარმოადგენს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, ბავშვთა, ხანდაზმულთა,ნოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, ძალადობის მსხვერპლ და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საქართველოს მაშტაბით 2019 წლის მარტის მონაცემებიც სულ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განხორციელდა რეინტეგრაცია და სახელმწიფომ უზრუნველყო მათი მინდობით აღზრდა შეადგენს 1938 ბენეფიციარს, მათ შორის შშმ ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 304. აჭარის მაშტაბით აღნიშნული მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება 171 ბავშვია მზრუნველობამოკლებულად რეგისტრირებული, მათ შორის შშმ ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 21.

1938 ბავშიდან რეიტეგრაცია, ანუ სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებული პირის ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან (მზრუნველთან) საცხოვრებლად დაბრუნება, შეძლო 464 ბავშვმა. 1474 ბავშვი გადაეცათ მინდობით აღსაზრდელად. სამართლებრივი თვალსაზრისით მინდობით აღზრდაში იგულისხმება, სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა გარკვეული ვადით. რეინტეგრაციისა და მინდობით აღზრდის პროგრამით უზრუნველყოფილია ჯამში 304 შშმ ბავშვი. (ცხრილი N4)

2018 წლის მონაცემებით სოციალური პაკეტის მიმღებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა 0–18 წლამდე, რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენს 10 693. მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1304 შშმ პირია. (იხ. ცხრილი N5). აღნიშნული სოცილიალური პაკეტების დასაფინანსებლად 2019 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 2 164 858 ლარი, მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის 262 200 ლარი. (ცხრილი N6)

ამრიგად, საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო გახლავთ უმნიშვნელოვანესი რგოლი ბავშვთა დაცვისა და სოციალური ინტეგრაციის სფეროში. რასაკვირველია მზრუნველობამოკებული ბავშვის უფლებები განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარება, რადგან მას არც ასაკობრივი განვიტარებისა და არც ოჯახური ფაქტორის გამო არა აქვს ის მნშვნელოვანი ცხოვრებისეული პირობები, როგორიც უნდა გააჩნდეს სრულფასოვან ბავშვს. ბავშვთა დაცვის ორგანიზაციებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ასეთი ბავშვების მიმართ. ცალკე საკითხის შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის თემა. საამისოდ საქართველო მაქსიმალურადაა ცართული საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნებში, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის კუთხით.

რამოდენიმე სტატისტიკური მონაცემების განხილვამ გვიჩვენა რომ ამ კუთხით საკმაოდ დიდი სტარატეგიული ნაბიჯები იდგემება, მაგრამ თუ გადავხედავთ ოჯახების რაოდენობას, რომელებიც სახელმწიფო სოციალურ შემწეობას ღებულობენ სახარბიელო არაა, ანუ აღნიშნული ღონისძიებები არასაკმარისია, მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების ტენდენციები.

დასკვნა

სამაგისტრო თემის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა და მისი რეალიზაციაა. მთელი ამ მუშაობის პერიოდში სულ ეს სიტყვა და მასთან დაკავშირებული პრობლემები დომინირებს, რამაც უფრო მეტი სტიმული და ინტერესი წარმოშვა კიდევ უფრო ღრმად და შინაარსიანად განხილულიყო ადამიანის უფლებების დაცვის თეორიები და მისი განვითარების ეტაპები.

დასაბამიდან დღემდე დიდი განვითარება ჰპოვა ამ პროცესებმა, კერძოდ დაწყებული შუა საუკუნეებიდან, მეოცე საუკუნის შუა წლებამდე მიმდინარეობდა აღნიშნული საკითხები ჩამოყალიბება, ხოლო 1948 წელს საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში პირველ პრეცენდეტს შექმნილიყო უდიდესი გაერთიანება, რომელიც ადამიანის უფლებებს ყველა ჭრილში დაიცავდა - განათლების, სოციალური დაცვის, შრომის, სიცოცხლი უფლებების და ა.შ. აღნიშნულ გაერთიანებას მიზამიმართულად ეწოდა გაერო ანუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სადაც თანდათან გაერთიანდნენ მშვიდობისმყოფელი და ის დემოკრატიული სახელმწიფოები, რომლებმაც გამოხატეს მზადყოფნა მხარი დაეჭირათ ისეთი იდებისთვის, როგორიცაა ჰუმანიზმი, განათლების მაღალი დონე, ეკონომიკური სტაბილურობა და განვითარება და რაც მთავარია მსოფლიო მშვიდობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დებულება და წესდება ყველა მონაწილე დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის სავალდებულოდ შესრულებელი გახდა და მისი ნორმები აისახა ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში. ასევე, ყველა მონაწილე ქვეყანაში საერთაშორისო ნორმები კანონის უზენაესობით უნდა დაცულიყო. შესაბამისად ამისა სახელმწიფოებს დაეკისრათ ვალდებულება მთელი პასუხისმგებლობით დაეცვათ ადამიანის უფლებები, რამაც განაპირობა ამ ორი ელემენტის - ადამიანისა და სახელმწიფოს შერწყმა და ურთიერთპასუხისმგებლობა.

ძნელი წარმოსადგენია სახელმწიფო არსებობდეს განვითარებული და პიროვნულად ჩამოყალიბებული ადამიანის, მოქალაქის გარეშე, ასევე ადამიანი ვერ იქნება სრულად რეალიზებული და ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე.

ყველა ქვეყანას თავისი წეს-ჩვეულებები, ღირებულებები და ტრადიციები გააჩნია. აღნიშნული პარამეტრები თვითეული ქვეყნის ინდივიდუალობას წარმოშობს, ამდენად ყველა ქვეყანა საინტერესო ხდება საერთაშორისო თვალსაზრისით. გაერო თავისი ნორმების შესრულებას ყველა ქვეყნისათვის სავალდებულოდ ხდის ამ ტრადიციული ჩარჩოების დაცვით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, თუნდაც მათი ქვეყნის ტრადიციების, მენტალიტეტის და რწმენის მიუხედავად.

გაეროს არერთგზის მცდელობის მიუხედავად მსოფლიოში არის რამოდენიმე სახელმწიფო სადაც ჯერ-ჯერობით სახელმწიფოებრივ დონეზე კანონით არ არის აყვანილი უფლებათა დავის საკითხები და საქმე გვაქვს ადამიანების უფლებების უხეშ დარღვევასთან, მაგრამ შესაბამისი ორგანოების ძალისმევით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, რათა სამომავლოდ მიღწეული და დაცული იქნეს ადამიანის უფლებების აღიარება.

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაში - ბავშვის უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, მნიშვნელოვანი შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დასკვნების გამოტანა, იმის თაობაზე, რომ ქართულ სახელმწიფოში თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და გარკვეულწილად დაცული იყო ადამიანი. ასე, რომ უფლებათა დაცვა ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უძველესი სფეროა.

აღსანიშნავია ისიც რომ გაეროს წინაშე გარდა ადამიანის უფლებების დაცვისა ასევე აქტიური საკითხი გახდა ბავშვთა დარღვეული უფლებების დაცვაც. ბავშვის დაცვის საკითხი უფრო მეტად პრიორიტეტულ და საზრუნავ საკითხად დაისვა, ვინაიდან ის საჭიროებდა განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას სახელმწიფოს მხრიდან, რადგან მისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები მოუმწიფებელია და ის მიუღწეველია სრულწლოვან ასაკს.

თუ თანამედროვე სახელმწიფოების მრიდან აღნიშნული საკითხისადმი დამოკიდებულება არ გაიზარდა და მთავარ პრიორიტეტად არ დაისვა როგორც საკანონმდებლო ასევე სისტემურ ჭრილში, მაშინ სრულიად ზედმეტია საუბარი დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესებზე. ასევე თუ არ მოხდა უფლებათა სწორი დაცვა და რეალიზება ვერ იქნება მიღწეული მშვიდობა, ჰუმანიზმი, განათლების მაღალი დონე და ადამიანური რესურსის სწორი განვითარება.

მსოფლიო საზოგადოება ბავშვთა მდგომარეობის დარეგულირებისა და სამართლებრივი სივრცის შექმნით პირველად 1923 წელს დაინტერესდა, როდესაც ახლადდაარსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვების საერთაშორისო კავშირმა" მიიღო ხუთი მუხლისაგან შემდგარი ბავშვთა უფლებების დეკლარაცია, რომელიც ჟენევის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი. ბავშვის უფლებათა ჟენევის დეკლარაცია 1924 წელს ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეამ დაამტკიცა.

ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების გააქტიურებამ საფუძველი ჩაუყარა გაეროს ეგიდით შექმნილიყო მასთან არსებული ქვეორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ და მხოლდოდ ბავშვის უფლებების დაცვის, მისი განვითარების ხელშეწყობის, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფისა და მონიტორინგის საკიტხებით იქნებოდა დაკავებული.

თავდაპირველად იუნისეფის დაარსების მთავარი მიზეზი, 1946 წელს, იყო ომით დაზარალებული ბავშვების დაცვა და მათი სოციალური უზრუნველყობა. თუმცა მოგვიანებით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მაშტაბური ომი მსოფლიოში აღარ განმეორებულა, ბავშვის უფლებები სხვადასხვა კუთხით მაინც ირღვეოდა და რჩებოდა იუნისეფის მთავარ საზუნავ თემად. ამდენად 1953 წელს იუნისეფი მთლიანად შეუერთდა გაეროს და უფრო გაზარდა თავისი მოქმედების არეალი და არამხოლოდ ომით დაზარალებულ, არამედ ზოგადად მსოფლიო ბავშვების უფლებების დაცვაზე აიღო ორიენტირი.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე ყურადღება გამახვილებულია ბავშვის უფლებათა დაცვის საკანონმდებლო საკითხებზე. ყველაზე მთავარს მათ შორის წარმოადგენს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია რომელიც 1989 წლის 20 ნოემბერს, ცალკე აქტად ჩამოაყალიბდა. აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წლის 21 აპრილიდან შეურთდა.

როგორც შინაარსზე, ასევე მის ქართულ საკანონმდებლო სივრცეში სინთეზზე. საქართველო 1991 წლიდან ეტაპობრივად შეუერთდა საერთაშორისო ორგანიზაციებს და თანდათან საკანონმდებლო სივრციდან სისტემურ რგოლებამდე მოახდინა მისი ნორმებისა და შინაარსის ადაპტირება.

დღეს საქართველოს საჯარო სამსახურები აქტიურად არიან ჩაბმულნი კონვენციის დებულებათა შესრულებაში. ამ საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის ნაშრომში დეტალურადაა განხილული სოციალური სააგენტოს სტატისტიკური ანგარიშების რამოდენიმე სახე, რომელმაც ნათელი მოჰფინა იმ ღონისძიებებს რომელსაც საჯარო სამსახურები ატარებენ საქართველში ბავშვთა დაცვის თვალსაზრისით.

საქართველოს, როგორც გაეროს, ძირითადი მიზანი ზოგადად ბავშვის უფლებების დაცვაა, მაგრამ განსაკუთრებულ ადგილს ამ სფეროში მზრუნველობამოკლებული ბავშვი და მისი უფლებები იკავებს, ასევე უნარშეზღუდული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ბავშვთა საზოგადოებაში ხელშეწყობა და ინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. სოციალური დაცვის სააგენტო როგორც ზემოთ განვიხილეთ, ემსახურება სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული პრობლემების მქონე ბავშვების მაქსიმალურ მხარდაჭესრას, რეაბილიტირებასა და ინტეგრაციას სოციუმში. ამისათვის იქმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა - ადაპრირებული გარემო სხვადასხვა დაწესებულებებში, როგორც სასწავლო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, პანდუსები, ინვენტარი და შესაბამისი სოციალური გარემო. რაც მთავარია სააგენტო ზრუნავს შესაბამისი ადამიანური რესურსების მოძიებაზე და მათ გადამზადებაზე, რომელბიც უზრუნველყოფენ ამ ბავშვების სწავლებას, ფიზიკურ აქტივობებში ჩართვას და უნარების გამომუშავებას.

ყოველივე ეს ემსახურება ერთ მთავარ მიზანს - ბავშვები სახელმწიფოს მხრიდან არ გრძობდნენ თავს დაჩაგრულად და დაუცველად. სახელმწიფომ ვალდებულია იზრუნოს ყველა ბავშვზე მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა (მიტოვებული ბავშვი), სიღარიბისა, განსხვავებული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებისა,რათა მაქსიმალურად იყვნენ ინტეგრირებულნი და ჩართულები ყველა საზოგადოებრივ და სოციალურ აქტივობებში მათი შესაძლებლობების შესაბამისად.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ზოგადი დებულებების განხილვამ დედუქციის მეთოდის საფუძველზე შესაძლებელი გახადა კონკრეტულად ბავშვის უფლებების დაცვის საკითხები განხილულიყო. აღნიშნული მეთოდის საფუძველზე შესაძლებელი გახდა როგორც შედარებითი ანალიზის ასევე დასკვნის გამოტანა, რომელიც თეორიული კვლევის მეთოდებს ეფუძნება.

ბიბლიოგრაფია

1. „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლები“ გვ. 8. თბ. 2000 წ.
2. „ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი სამართლებრივი აქტების“ კრებული, ნაწილი 2, გვ. 29, თბ. 2001 წ.
3. „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლები“, გვ. 15, თბილისი, 2000 წ.
4. ავტორთა კოლეგია „ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა“ ©_განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი - პლურალიზმის ცენტრი თბ. 2018 წ.
5. ბავშვის უფლებათა კონვენცია; www.matsne.ge
6. დანდამაევ მ. „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“ მოსკოვი, 1983 წ.
7. დოლიძი ი. „ქართული სამართლის ძეგლები“ტ. 1, გვ. 480-481, თბ. 1963 წ.
8. დოლიძი ი. „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. 1, გვ. 505, თბ. 1963 წ
9. დოლიძი ი. „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. 1, გვ. 397, თბ.1963 წ.
10. დოლიძე ი. „ქართული სამართლის ძეგლები“ტ. 1, გვ. 533 თბ. 1963 წ.
11. კობალაძე ა, ბარამიძე ს. „ამერიკის შეერტებული შტატების კონსტიტუცია“ თბ. 1993 წ.
12. ლობჟანიძე გ. „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ გვ. 406, თბ. 2001 წ.
13. ლოგუა ს., ხუხუტაშვილი ა.,შანიძე ლ., ბაქაქური ნ. „ბავშვის უფლებები“ © საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; თბ.2000 წ.
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი www.matsne.ge
15. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი www.matsne.ge
16. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ www.matsne.ge
17. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“www.matsne.ge
18. საქართველოს შრომის კოდექსი www.matsne.ge
19. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი www.matsne.ge
20. სოციალური სააგენტოს ოფიციალური ვებ–გვერდი www.ssa.gov.ge
21. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, 2006 წლის 29 დეკემბერი; www.matsne.ge
22. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „ადამიანის უფლებათა საერთშორისო ბილი“ თბ. 1999 წ.
23. ჩუბინაშვილი დ. „ქრესტომატია“ პირველი გამოცემა; გვ .394 თ. 1860 წ.
24. ხარებავა მ., ესებუა ლ., გალუაშვილი მ., ტაბატაძერ ნ., ქობალია ბ., გოგოხია ი., წითაშვილი ი., ჯიქია ი., ხუბუტია ხ. „ეს შენი უფლებაა“. © ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეა, თბ. 2009 ISBN: 978-9941-404-98-6
25. ავტორთა კოლეგია „ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა“ ©_განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი - პლურალიზმის ცენტრი თბ. 2018 წ.
26. ჯავახიშვილი ივ. „ქართველი ერის ისტორია“, I , კარი მეოთხე